# საერთო გაზეთი

№28 (578) • 16 სექტემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## „ქართული ოცნების“ გამარჯვება საქართველოს გამარჯვებაა!“



**ბიძინა ივანიშვილი:** ადამიანებზე ზრუნვა და ამ ურთულეს კრიზისში მათი სოციალური მხარდაჭერა, „ქართული ოცნების“ ხელწერად იქცა

**რას ჰქვია, რევოლუცია მოხდება, მკვლელები დაბრუნდებიანო? ვერა, არა, ეგ არ მოხდება იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს!**

## იცოდით, ხალხო, სააკაშვილი უგულავას რომ გაუგდია საქართველოდან?

## ვინ დაწერს „შავ წიგნს“ ნაციონალების შავ-ბნელი საქმეების შესახებ?



– ფაშისტები ხართ თქვენ! – უთხრეს ნაცებს და ეწყინათ. ფაშისტები რომ იყოთ, რა გიჭირდათ ნაცებო? ფაშისტები კი არა თქვენ კრიმინალები ხართ!

## კორონავირუსის ვაქცინასთან დაკავშირებით რაც ახლა ხდება, ეს იმის გაგრძელებაა, რასაც პატრიარქმა შეფარული გენოციდი უწოდა



მკითხველთა დაჟინებული თხოვნით, ვაგრძელებთ საუბარს აკადემიკოს თინათინ თოფურიასთან, რომელიც ამ ინტერვიუშიც უკიდურესად საგანგაშო ინფორმაციებს გვაწვდის

**ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუკვლეველი ვაქცინით, არა მარტო ასაკოვანი ადამიანების, არამედ ბავშვების საყოველთაო აცრასაც აპირებენ, რაც შეიძლება, დიდი ეროვნული კატასტროფით დამთავრდეს.**



**მამა ბასილ მკალავიშვილი:** ოპოზიცია მალე ისე დაერევა ერთმანეთს, რომ, შეიძლება, „ქართული ოცნების“ გასაშველებელი გახდეს...



## სიკვდილის მაგისტრალები

საქართველოში ავტოავარიების შედეგად ყოველწლიურად 600 ადამიანი იღუპება

## დონალდი, ჯო და „სამი სასოწარკვეთილი დიასახლისი“ ბელარუსიდან

## „გულთა-სრული კაცი“



ილია ჭავჭავაძე დიმიტრი ყიფიანს „გულთა-სრულ კაცს“ უწოდებდა, ხოლო აკაკი წერეთელი „ჩვენ მოძღვარს“

# რას ჰქვია, რევოლუცია მოხდება, მკვლელები დაბრუნდებიანო? ვერა, არა, ეგ არ მოხდება! იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს!

10 სექტემბერი. თბილისი. მთაწმინდა. 20 საათი და 00 წუთი. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ წარმოგვიდგენს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველი ოცეულის სიას. ნახეთ, რამდენი სიმბოლური დამთხვევაა — 20 საათი, 2020 წელი, ოცეული და ასე შემდეგ.

მაშ ასე, პირველ ოცეულში არიან: 1. გიორგი გახარია, 2. არჩილ თალაკვაძე, 3. ირაკლი კობახიძე, 4. თეა წულუკიანი, 5. მამუკა მდინარაძე, 6. კახა კუჭავა, 7. გიორგი კახიანი, 8. მარიამ ქვრივიშვილი, 9. მიხეილ სარჯველაძე, 10. მაია ბითაძე, 11. მიხეილ დაუშვილი, 12. გიორგი ამილახვარი, 13. ვიქტორ სანიკიძე, 14. მაკა ბოჭორიშვილი, 15. შალვა პაპუაშვილი, 16. დავით კაჭარავა, 17. ნიკოლოზ სამხარაძე, 18. გიორგი ხელაშვილი, 19. მარიამ ლაშხი, 20. ბექა დავითულიანი.

საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი ისევ იქნება გიორგი გახარია — კარგი გადაწყვეტილებაა, ჭკვიანური და რამე. ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრობის ყველა მოსურნეს, ცოცხალი რიგი რომ დააყენეს, ხასიათი წაუხდა. რასაკვირველია, ამას არ შეიმჩნევენ, მაგრამ ეგრეა.

პარლამენტის თავმჯდომარე ისევ იქნება არჩილ თალაკვაძე — ვფიქრობ, ესეც კარგი გადაწყვეტილებაა.

წულუკიანი ვიცით, კობახიძე ვიცით, მდინარაძე ვიცით. დანარჩენებიდან ზოგი ვიცით, ზოგი — არა. საერთო ჯამში, სათითაოდ კარგი ახალგაზრდები ჩანან, განათლებულნი და განსწავლულნი. აქედან ორი სპორტსმენია — დავით კაჭარავა და ვიქტორ სანიკიძე. რატომღაც, პირველ ოცეულში უმეტესად იურისტები და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები არიან, ერთი-ორი ეკონომისტი და სხვა პროფესიების წარმომადგენლებიც რომ შეერიათ, ალბათ უკეთესი იქნებოდა. ფაქტია, ამ არჩევნებისთვის ყველაზე კარგი ოცეული მაინც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა. ე.წ. ოპოზიცია არც ამას შეიმჩნევს, მაგრამ არაუშავს, ჩვენ გვკიდია.

იმედია, წარმოდგენილი ახალგაზრდებიდან ნაწილი ისე არ გაზულუქდება, რომ 2–3 წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს დაუწყებს კილვას და მეტიც, გუბაზ სანიკიძის მსგავსად მოინდომებს მის დამხობას. ჰო, ერთი ქალი გამახსენდა კიდევ... აი, 4 წელიწადი პარლამენტში იჯდა და მის გვარ-სახელს უკვე ველარ ვიხსენებ (არა მგონია, ჩემი პრობლემა იყოს), უნდა დავგუგლო... მარიამ ჯაში!

როგორც შინაურობაში ამბობენ, 2016 წელს ამ გოგოს მშობლებმა ვინღა არ შეაწუხეს, ვისთან არ იყვნენ, რომ ბიძინა ივანიშვილამდე მიეღწიათ და საპარლამენტო სიაში ჩაესვათ. მიაღწიეს, ჩასვეს, თითქოს არ ტოვებდა ურიგო შტაბეჭდილებას, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ სანდრა რულოვსს ჰყავდა თავის დროზე სასწავლებლად გაგზავნილი უცხოეთში და გამოიქნია კიდევაც კუდი. ამაზეა



ნათქვამი, ყოფილი „ნაცი“ არ არსებობსო. როგორც კი თამარ ჩუგოშვილმა თავის დაქალებთან ერთად „იუკადრისა“ „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა, ჯაშიც გაუდგა კუდიგორის გზას. ჩემი აზრით, როცა ადამიანი პარლამენტში შედის ამა და ამ პარტიის ეგიდით, ბოლომდე უნდა იღვაწოს ამა და ამ პარტიის ეგიდით. თუ აღარ უნდა, თუ აღარ ეთანხმება პარტიის პოზიციას, უნდა მიბრძანდეს სახლში, უნდა დატოვოს მანდატი. აბა, რომ გამოქანდებიან ხოლმე და მიცხადებენ, დღეიდან დამოუკიდებელი დეპუტატები გახლავართო, „რაზვი ეტო ნორმალნო“?!

გარდა ამისა... მე და ჩემნაირები ვისურვებდით, ამ ოცეულს, ამ გუნდს ჰქონდეს იდეა და ჩამოყალიბებული სტრატეგია. კი, ბატონო, დღეს ძალიან ბევრი კარგი საქმე კეთდება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, მაგრამ ქვეყანას მაინც სჭირდება პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულების მყარი სტრატეგია, რაც ყალბი ოპონენტებისთვის იქნება ნაღმი. დიახ, ყოველი ცრუ პატრიოტი და ე.წ. ოპოზიციონერი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოებრივი აზროვნება და ეწევა მავნებლურ საქმიანობას, უნდა აფეთქდეს ამ ნაღმზე.

ოცეულის წარმოდგენამდე სიტყვით გამოდის ბიძინა ივანიშვილი, ლაპარაკობს ქვეყანაში მიმდინარე წარმატებებზე და აღნიშნავს, რომ უფრო ბევრია გასაკეთებელი. მისი აზრით, განახლებული გუნდი იქნება უფრო ეფექტური და ენერგიული. სხვათა შორის, ყურში მომხვდა ერთი ფრაზა: მისი თქმით, ხელისუფლებას გაცილებით მეტი საქმე აქვს გასაკეთებელი, ვიდრე სიყალბეების გავრცელებით დაკავებული ადამიანების ოპონირებაა. შეიძლება ეს სიმართლეა, მაგრამ მხილებაც აუცილებელია. „ჩაჯვთა“ მიმართ უყურადღებობას ხშირად მოაქვს უკუშედეგი, საზოგადოების ბნელი ნაწილი იჯერებს, რომ მაწონი შავია.

ბიძინა ივანიშვილი: „დარწმუნებული ვარ, სიცრუესთან და ხალხში ნეგატივის, უიმედობის დათესვის მცდელობასთან ბრძოლას ჩვენ ისევე წარმატებით მოვიგებთ, როგორც ვაჯობეთ ზოგადსაკაცობრიო გამოწვევას კრიზისის ყველაზე რთულ ეტაპზე“.

დიახ, სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს, სიცრუე, ნეგატივის თესვა და საზოგადოებაში უიმედობის გავრცელება უნდა დავამარცხოთ. სწორედ ამის გაკეთებას სჭირდება სწორი და გააზრებული სტრატეგია, უშინაარსო სადღეგრძელოებით არაფერი გამოვა.

სიტყვით გამოდის კახა კალაძე, ისიც ლაპარაკობს წარმატებებსა და იმაზე, რომ ქვეყანაში უკვე დამთავრდა შიშიანობა. კალაძე ისევ მხნედ დგას „ქართული ოცნების“ სადარაჯოზე, საქმიანი კაცი გამოდგა, შრომისმოყვარე და ეტყობა კიდევაც დედაქალაქს, ამდენი არც ერთ მერს არ გაუკეთებია. შეიძლება ზოგს მოსწონს ეს ადამიანი, ზოგს — არა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

ის, რაც მეწყინა!

იცით, რა მეწყინა? წინა დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოცეულში კი არა, ხუთეულში აუცილებლად იქნებოდა ირაკლი ღარიბაშვილი, თუმცა ის საერთოდ არ წარმოუდგენიათ. რატომ? არ ვიცი, ამის თაობაზე უამრავი ვერსია არსებობს, რომელზეც ალბათ არჩევნების შემდეგ ვისაუბრებთ. არადა, ძალიან კარგი გამწევი ძალა იქნებოდა, ვაღიაროთ, მთელ კახეთში, უკვე წლებია, არჩევნებს იგებს ამ ადამიანის სახელი და გვარი — ირაკლი ღარიბაშვილი. მისი ენერგია, პირდაპირობა და პროფესიონალიზმი შეუფასებელი რამ გახლავთ „ქართული ოცნებისთვის“. თუ ვინმემ თავისი ხუშტურების გამო „მოტეხა“, ძალიან ცუდი, თუ რაღაც ორიგინალური ჩანაფიქრია, ვნახოთ, არ არს დაფარული, რომ არ გამჟღავნდეს.

ჰოდა, იმას ვამბობდი... სახლში რომ დავბრუნდი, ე.წ. ოპოზიციონრების კომენტარები გადავათვალიერე, ყველაზე ორიგინალური მაინც ნინო ბურჯანაძე აღმოჩნდა: ეგ სია გინდათ თავიდან წაიკითხეთ, გინდათ — ბოლოდან, მაინც ბიძინა ჰქვიაო, ანუ ოცივე კანდიდატი ბიძინააო. უკაცრავად კი ვარ ქალბატონ ნინოსთან, მაგრამ ამ სიისთვის ანზორიკო რომ დაერქმიათ, ანუ ყველა კანდიდატს რომ ანზორი ან სუსანა ერქვას, ეგ იქნებოდა ძალიან სასაცილო. ისე, როგორც მახსოვს, მაგ ლოგიკით წლების განმავლობაში თვითონ მიშა ერქვა და რავი, ეხლა ბიძინობა ტეხავს?

გითხარით, ძველი დეპუტატებს ვკიდე-მეთქი თვალი მთაწმინდაზე... ასევე, ბევრი ნაცნობი შევნიშნე, ზოგს მუშტით მივესალმე კორონას შიშით, ზოგს კიდევ შორიდან გავუგზავნე ჰაეროვანი კოცნა. გამოგიტყდებით, ეს მაინც შინაურული წრეა ჩემთვის, „ნაციონალებში“ ვერც ადრე ვივარგე და ვერც შემდგომში, ვერ ვიტან მკვლელებს, მწამებლებსა და სადისტებს. რა ვქნა, ეგეთი ხასიათი მაქვს.

სანამ მთაწმინდაზე ავიდოდი, მალხაზ გულაშვილის რადიოგადაცემაში ვიყავი („ჯორჯიან ტაიმსი“) სტუმრად... მაგან კიდე ცალკე მომიშალა ნერვები — დამსვა და მეკითხება, მიშა ჩამოვაო? ვერა-მეთქი. რათა, ხომ შეიძლება, ჩამოვიდესო? ისეო, მე ვფიქრობო, რომაო, „ნაცები“ არჩევნების შემდეგ ქვეყანას არევენო, შეიძლება მათმა ამერიკელმა ლობისტებმა ჩვენი არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადონო. ესე იგი, ასეთი სურათი დამიხატა: ესენი იტყვიან, არჩევნები გაყალბდაო, ისინი დაეთანხმებიან და დაიწყება არეულობაო. უნდა მეთქვა, ტაში, კუკური-მეთქი, მაგრამ აღარ ვუთხარი, ზრდილობიანად განვუმარტე, რომ მარტო ამათ ტრაკუნზე და ექვსიოდე კონგრესმენის დავთრებზე არ არი დამოკიდებული ჩვენი არჩევნების ლეგიტიმურობა. ვააა, ესენი იტყვიან და გადატრიალებას მოაწყობენ, ეგრე სად არი, ჩვენ რა, ბამბას ვარჩევთ?!

რას ჰქვია, რევოლუცია მოხდება, მკვლელები დაბრუნდებიანო? ვერა, არა, ეგ არ მოხდება იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს.

დიახ, ჩვენ არ გვსურს მკვლელების დაბრუნება!

ჩვენ გვინდა, რომ გაგრძელდეს ქვეყნის მშენებლობა და იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელთან კამათი და ჩხუბიც კი შესაძლებელი იქნება და ამის გამო ციხეებში ვერავინ ამოგვალპობს!

შეიძლება სიაში ზოგი მოგვწონდეს, ზოგი — არა, შეიძლება ზოგმა აღგვაფრთოვანოს, ზოგმა „დაღგვაფრთოვანოს“, მაგრამ ამის გამო რევოლუციას ვერავინ მოაწყობს, ეგ დრო დამთავრდა, წავიდა, გაქრა, მორჩა! რაც იყო, ისიც სანანებელია!

ასე რომ... არჩევნები ჩაივლის მშვიდად, „ქართული ოცნება“ მოიგებს, სხვანაირად წარმოუდგენელია, სახედაკარგული ე.წ. ოპოზიცია გაქრება და ამასობაში უნდა გაიზარდოს ახალი თაობა. ვიმეორებ: 2024 წლის შემდეგ ქვეყანა უნდა მართოს ახალმა თაობამ ცოტაოდენ ძველების დახმარებით. ამორტიზებული ოპოზიცია შესაცვლელია!

დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

®

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ქართული ოცნების“ გამარჯვება საქართველოს გამარჯვებაა!



## ბიძინა ივანიშვილის სიტყვა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის წარდგენისას

მივესალმები ჩემს ხალხს, კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა ყველას — ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის, რომელსაც მუდამ ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ თქვენგან.

მინდა იცოდეთ, რომ მე და ჩემი გუნდი ამ ნდობას ვაფასებთ და ძალიან ვუფრთხილდებით. სწორედ ეს ნდობა და ეს მხარდაჭერა გვიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენ თქვენთან ერთად წავიყვანთ ქვეყანას წინ, განვითარებისკენ და წარმატებისკენ, თითოეული ოჯახის კეთილდღეობისკენ. ქართულ ოცნებას აქვს ამის ნება და რესურსი, ამ პარტიის შექმნის იდეაც სწორედ ეს იყო და არის — საქართველო იყოს ევროპული ქვეყანა, სადაც ადამიანი და მისი ღირსება არის დაცული, ყველას შეუძლია საკუთარი შრომით ოჯახის რჩენა, სადაც მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება გარანტირებულია, სადაც სუსტს ეხმარებიან, ნიჭს ახალისებენ, თავდადებას აფასებენ, ფესვებს უფრთხილდებიან და მომავალზე ზრუნავენ, სადაც თანაბარ პირობებს ქმნიან თითოეულის წარმატებისთვის, სადაც ხელისუფლება ხალხის სამსახურშია და არა პირიქით.

ჩვენი პარტია ამ გზას ადგას და პირობას გაძლევთ, კვლავაც თავდაუზოგავად იმუშავებს იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ მიღწეული და ვიზრუნოთ წინსვლაზე, რომ ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი, თითოეული თქვენგანი იყოს უკეთ, ვიდრე გუშინ, საქართველო იყოს უფრო უსაფრთხო ქვეყანა, ვიდრე გუშინ, უფრო ახლოს იყოს ქვეყნის გამთლიანებასთან, უფრო ახლოს იყოს ევროპასა და ნატოსთან, დემოკრატიის სტანდარტები იყოს უფრო მაღალი, კიდევ უკეთ იყოს დაცული ადამიანის უფლებები, ეკონომიკური წინსვლა იყოს უფრო თვალსაჩინო და ყველასთვის ხელშესახები, შევძლოთ გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარება, რომ აღარ გვყავდეს სოციალურად დაუცველი არცერთი მოქალაქე.

ჩვენ ამას შევძლებთ და ამის რწმენას მაძლევს მოტივირებულ პროფესიონალთა ის გუნდი, რომელიც დღეს აქ არის წარმოდგენილი. თითოეული მათგანი მზად არის ემსახუროს ხალხს, ემსახუროს ქვეყანას. ამ გუნდში არიან ადამიანები, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს, რომ ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი, შემძლე არიან გაუმკლავდნენ თავიანთ საქმეს, დარჩნენ იდეისა და საქმის ერთგულნი და განსაცდელს აარიდონ ხალხი და ქვეყანა.

ყველამ, ვისაც საქმე უკეთებია იცის შრომის ფასი, იცის რა რთულია შედეგის მიღწევა. მარტივია, როდესაც მარტო შეფასება და კრიტიკაა შენი საქმე, არაფერზე პასუხისმგებლობა არ გაგაჩნია და ხშირად ტყუილსაც კადრულობ იმ იმედით, რომ ამაზე პასუხს არავინ მოგთხოვს. ხელისუფლებას გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები აქვს საკეთებელი, ვიდრე ცრუ ბრალდებებზე რეაგირებაა. საბედნიეროდ, ხალხი ბრძენია და ყველაფერს კარგად ხვდება და რაც მთავარია, საკუთარი თვალით ხედავს, როგორ მუშაობს „ქართული ოცნება.“

ჩვენ უკვე გავაკეთეთ ისეთი მასშტაბური პროექტები, რომელთა განხორციელების ბევრს არც კი სჯეროდა, ზოგიერთები კი ეწინააღმდეგებოდნენ მდარე



ვიწროპარტიული ინტერესების გამო. მინდა იცოდეთ, „ქართული ოცნება” კვლავაც გააგრძელებს გზების, ხიდების, გვირაბების, უნივერსიტეტების, სკოლების და ბაღების მშენებლობას, ქართული სოფლის მხარდაჭერას, ადამიანზე, მის ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

მე არა ერთხელ მითქვამს და დღესაც გავიმეორებ — ჩვენ არ გვჩვევია გაკეთებულით თავმოწონება და ტრაბახი, საქმის კეთება მმართველი გუნდის პირდაპირი ვალდებულებაა და ჩვენ ამას უხმაუროდ ვაკეთებთ. მე მიხარია, რომ ყველა ამ სიკეთით, რომელიც ხალხისთვის კეთდება, სარგებლობენ მათ შორის ჩვენი კრიტიკოსები და სკეპტიკოსებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიკეთეების აღიარების უნარი არ გააჩნიათ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ისევე წარმატებით მოვიგებთ ბრძოლას სიცრუესთან და ხალხში ნეგატივის, უიმედობის დათესვის მცდელობასთან, როგორც ვაჯობეთ ზოგადსაკაცობრიო გამოწვევას კრიზისის ყველაზე რთულ ეტაპზე.

ჩვენი ხალხი კარგად ხედავს, რომ „ქართულმა ოცნებამ” პრაქტიკულად ყველა მიმართულებით შეძლო ქვეყნის შეუქცევადი განვითარება, ჩვენი ხალხის უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის მტკიცე გარანტიების შექმნა.

ადამიანებზე ზრუნვა და ამ ურთულეს კრიზისში მათი სოციალური მხარდაჭერა, ქართული ოცნების ხელწერად იქცა. თამამად ვიტყვი, ჩვენ პირნათელი ვართ ხალხის წინაშე, ვაკეთებთ შესაძლებლობების მაქსიმუმს, რის საშუალებასაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა იძლევა. თუმცა, ისიც კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველი შედეგისგან, მაგრამ ვადგავართ იმ გზას, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, აუცილებლად მიგვიყვანს მიზნამდე. ჩვენს სწორ და თანამიმდევრულ მიდგომებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიას იწონებენ და მხარში გვიდგანან ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ქვეყნები, მაგრამ რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამას აღიარებს ჩვენი ხალხი და ამიტომაც, დარწმუნებული ვართ, კვლავ უპირობოდ გამარჯვებული გამოვალთ იმ პოლიტიკურ კონკურენციაში, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად აიღო სტარტი.

„ქართული ოცნების” გამარჯვება თითოეული მოქალაქისთვის სიმშვიდის და უკეთესი ცხოვრების მომტანია, „ქართული ოცნების“ გამარჯვება საქართველოში მშვიდობის შენარჩუნების, ქვეყნის დემოკრატიული და სტაბილური განვითარების გარანტიაა.

„ქართული ოცნების“ გამარჯვება საქართველოს გამარჯვებაა.

კვლავაც ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

®



# ვინ დაწერს „შავ წიგნს“ ნაციონალების შავ-ბნელი საქმეების შესახებ?

## — ფაშისტები ხართ თქვენ! — უთხრეს ნაცებს და ეწყინათ. ფაშისტები რომ იყოთ, რა გიჭირდათ ნაცებო? — თქვენ კრიმინალები ხართ!



ვახტანგ ხარჩილავა:

ბოდიში წამალი რომ იყოს, აფთიაქები გაყიდდნენ.

აფთიაქებმა არა, მაგრამ ბოდიშის გაყიდვა უკვე დაიწყეს ნაციონალებმა და მუშტარიც ბევრი გამოუჩნდათ.

ყიდიან ცალობით, კაკალ-კაკალ, ყიდიან სხვა „მედიკამენტებთან“ ერთად, როგორც დამხმარე პრეპარატს, ყიდიან ბითუმად საჯარო თავშეყრის ადგილებში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას, ყიდიან კარდაკარ, ჩამოტარებით, ყიდიან ონლაინ და ა.შ.

ბოდიშის გაყიდვა, როგორც კომერციულად უაღრესად საინტერესო ბიზნეს-პროექტი, ცხადია, სააკაშვილის უკუღმა ჩალაგებული ტვინის უჯრედებში დაიბადა და საავტორო უფლებაც მას ეკუთვნის.

ნახეთ, როგორი შესანიშნავი და როგორი კომერციული საქონელია ბოდიში — არც დარგვა უნდა, არც დათესვა, არც გათოხნა და დაბარვა, არც წარმოების საშუალებები, არც კრედიტის აღება გიწევს, არც მიწის ნაკვეთის ყიდვა, არც გასხვლა უნდა და არც — მოწამვლა. გამოფშვიტინდები რომელიმე ტელევიზიაში, თვალებს მოინაღვლიანებ, ხმას დაინაზებ და დაირბილებ — ბოდიში, ჩემო ძვირფასებოო, იტყვი და საქმე გაჩარხულია — სიხარულისგან აღტაცებულ აფოფინებული „ძვირფასები“ კიდევ უფრო ხმამაღლა აჭყლოპინდებიან და მყისვე მედიის ყურადღების ცენტრში მოექცევი.

ბოდიშისგან მიღებული სარგებელი ამით არ მთავრდება — ამ ბოდიშით შეიძლება ვიღაც-ვიღაცებმა ირწმუნონ, რომ გამოსწორდი, ადამიანი გახდი, სინდისი გქენჯნის და ნანობ, რაც არაკაცობა გაქვს ჩადენილი.

თუ ეს დაგიჯერეს ადამიანებმა, მიუხედავად იმისა, რომ თხემით ტერფამდე სისხლში ხარ ამოვლებული და ყარხარ, ქვეყნისთვის და ხალხისთვის წაგლეჯილი მილიონების თქვლეფით ხარ დაფიჟვინებული და დასიებული, მაინც გგონია, თუ ბოდიშს მოიხდი, ეს ცოდვები ერთბაშად ჩამოგერეცხება, ყველაფერი გეპატიება, ყველაფერი მოგეტევება, შენი ბანდა, პარტიას რომ ეძახი, პარლამენტში უმრავლესობით შევა, შენ კი პრემიერ-მინისტრი გახდები.

ხომ გითხარით, ძალიან მაგარი, ძალიან სარფიანი ბიზნესია ბოდიშით ვაჭრობა, იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობას არაფრით ჩამოუვარდება.

საქმე ის არის, რომ სააკაშვილმა ბოდიში კი მოიხადა, მაგრამ ბოდიში მოიხადა შეცდომებისთვის და არა იმ დანაშაულებისთვის, რასაც სააკაშვილს ქართველი საზოგადოება ედავება.

ის პირველ მიმართვაშიც და მეორეშიც მხოლოდ და მხოლოდ შეცდომებზე ლაპარაკობს და ამ შეცდომების გამო იხდის ბოდიშს, თორემ რაიმე დანაშაულზე საერთოდ არ ძრავს კრინტს.

ვიღაც-ვიღაცებს, კი მაინც უხარიათ: — სააკაშვილმა, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ დამნაშავეაო, ეს ბოდიშების მოხდა აღიარებების მთელი სერიააო და ა.შ.

სად, როდის, რა აღიარა სააკაშვილმა? კარგად მოუსმინეთ მის საუბარს, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და დარწმუნდებით, რომ სააკაშვილს ერთი სიტყვაც არ უთქვამს რაიმე დანაშაულზე, ის მხოლოდ შეცდომებზე ლაპარაკობს.

— მე საქმეს ვაკეთებდი... ვინც საქმეს აკეთებს, ის შეცდომებსაც უშვებს. თუ არაფერს არ გააკეთებ, შეცდომებსაც არ დაუშვებ. — აი, ეს თქვა სააკაშვილმა და არა ის, დამნაშავე ვარ, ესა და ეს დანაშაული ჩავიდინე, ახლა ვინანიებ და ბოდიშს ვიხდიო.

— კარგია, რომ რაღაც-რაღაცებზე ბოდიშს იხდის, მაგრამ გირგვლიანის საქმის გამო რომ არ მოუხდია ბოდიში, ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე რომ არ მოუხდია ბოდიში? — ისე ნიშნისმოგებით იკითხა ერთმა პოლიტიკოსმა „ქართული ოცნებიდან“, თითქოს სააკაშვილს სხვა დანაშაულების გამო ეხადოს ბოდიშები და პატიება ეთხოვოს.

ჩემთვის და ჩემსავით კიდევ ათასობით და ასიათასობით ადამიანისთვის დღემდე ამოუხსნელ რებუსად რჩება, რატომ ვერ მოახერხა საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს პროკურატურამ „ქართულმა ოცნებამ“ ერთად მოეყარა თავი და ერთ დიდ საქმედ შეეკრა ყველა ის შემაძრწუნებელი დანაშაული, რაც „ნაცმოძრაობის“ რვაწლიანი ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის დროს მოხდა ქვეყანაში და რომლის სათავეშიც საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი იდგა.

ხომ ყველამ ვიცით, ხომ მთელმა საქართველომ იცის, რომ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული ეს ავანტურისტი, წმინდაწყლის დიქტატორი იყო, რომლის ნებასურვილის გარეშე ქვეყანაში არაფერი ხდებოდა.

საქართველოს პროკურატურა, რა პიჯაკებს აფრიალებს, რა მენიუებში იქექება, რა 9 მილიონზე ლაპარაკობს, როცა სააკაშვილის დროს მილიარდებია ქვეყნის ბიუჯეტიდან მოპარული, ასობით ადამიანია ქუჩაში ჩაცხრილული, 25 ათასი ადამიანია დატყვევებული და ციხეში მძევლებივით გამოკეტილი, მილიარდების ღირებულების ქონებაა ადამიანებისთვის წართმეული, ათასამდე პატიმარია ციხეში ნაწამები და მოკლული, უამრავი ადამიანია უგზო-უკვლოდ დაკარგული, უამრავი ოჯახია გაუბედურებული, დაქცეული და გაპარტახებული და რაც მთავარია, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტია გასხვისებული და გაყიდული.

აი, ამის ჩამდენ კაცს, აი, ამ უბედურებათა მთავარ ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს, მხოლოდ გირგვლიანის საქმეს და ვალერი გელაშვილის ცემას რომ ვახსენებთ წამდაუწუმ, თითქოს სხვა ბრალდებები და სხვა არგუმენტები არ არსებობდეს, რას ნიშნავს ეს და როგორ უნდა გავიგოთ ეს ყველაფერი?

მიხეილ სააკაშვილმა უამრავი ადამიანი ჩაითრია დანაშაულებრივ საქმიანობაში. უამრავი ადამიანი აქცია დამნაშავედ, რომელთაგან ზოგი ციხეში ზის, ზოგიც — გაქცეულია და მართლმსაჯულებას ემალება.

ის რომ არა, ბევრი მათგანი თავისი პროფესიით იმუშავებდა და ჩვეულებრივი, ნორმალური მოქალაქის ცხოვრებით იცხოვრებდა.







●

სააკაშვილისგან არაფერი მიკვირს, მათ შორის, არც ბოდიშის მოხდა, მაგრამ იმ ადამიანებისა კი ნამდვილად მიკვირს, რომლებმაც სააკაშვილის მიერ ბოდიშის მოხდაში რაღაც დადებითი და პოზიტიური დაინახეს.

ან ძალიან გულუბრყვილოები და მიამიტები არიან ასეთი ადამიანები, ან ფარისევლები და თვალმაქცები, რომლებიც თავს ისულელებენ და ჩვენს გასულელებასაც ცდილობენ.

















საკაშვილი რომ არა, ადეიშვილი, ალბათ, პროფესორი იქნებოდა და ლექციებს წაიკითხავდა, მერაბიშვილი აგრონომად იმუშავებდა უდეში, ძმები ახალაიები ჩვეულებრივი იურისტები იქნებოდნენ, კეზერაშვილი სავალუტო ჯიხურს გახსნიდა, ან რაღაც სხვა ბიზნესს წამოიწყებდა და ა.შ.



საკაშვილმა გარყვნა და დალუპა მთელი თაობა.

მის მიერ დათესილი ბოროტება დღევანდელ დღემდე აღწევს და ახლაც წამლავს სხვადასხვა ასაკის ადამიანების სულსა და გონებას.

●

წარმოიდგინეთ ასეთი რამ. – დავუშვათ ადოლფ ჰიტლერს თავი არ მოეკლა და ომის დამთავრებიდან 8–9 წლის შემდეგ გერინგის, ან ბორმანის მიერ გახსნილი ახალი ტელეარხით გერმანელების წინაშე წარმდგარიყო და ეთქვა:

– საქმეს ვაკეთებდი მე, ხოლო ვინც საქმეს აკეთებს, ის შეცდომებსაც უშვებს. მეც დავუშვი შეცდომები, მათ შორის მძიმე შეცდომები, რის გამოც ბოდიშს გიხდით, ჩემო ძვირფასებო, ახლა კი პოლიტიკაში ვბრუნდები და 2–3 წელი რაიხსკანცლერი ვიქნები, რომ გერმანია კვლავ ავაღორძინო და ფეხზე დავაყენო. ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს ეს, ამის დიდი გამოცდილება მაქვსო.

ხომ საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდათ ამ „მაცთურ“ შემოთავაზებაზე გერმანელებს და დანარჩენ მსოფლიოს?

თქვენ მეტყვით, რომ ამის წარმოდგენაც კი არ შეიძლება, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, რომ ამას არც გერმანელები და არც ცივილიზებული კაცობრიობა არ დაუშვებდა.

მეტყვით და მართლებიც იქნებით, მაგრამ ისევ მინდა კონტრშეკითხვა დავსვა: ის, რაც შეუძლებელია მომხდარიყო გერმანიაში, რატომ გახდა შესაძლებელი მომხდარიყო საქართველოში?

ის, რაც მიუღებელი და დაუშვებელი იყო მომხდარიყო გერმანიაში, რატომ გახდა საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობისთვის მისაღები და დასაშვები საქართველოში?

საკაშვილი ჰიტლერის უნიჭო ასლია, ხოლო ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ საქართველოში აკეთებდა, თითქმის იდენტურია იმისა, რასაც ფაშისტები ჩადიოდნენ გერმანიაში…




მოდით, კიდევ ერთი წარმოუდგენელი ამბავი წარმოვიდგინოთ.

დავუშვათ და ომში დამარცხების შემდეგ ფიურერის თანამებრძოლებმა, გებელსმა, ჰიმლერმა, ჰესმე და სხვებმა, ანუ იმ ადამიანებმა, რომლებიც ჰიტლერთან ერთად სათავეში ედგნენ ჰიტლერის „ფაშისტურ ორგანიზაციას, ახალი პარტია, ვთქვათ, „ევროპული გერმანია“ შექმნეს და ამით სცადეს თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა იმ დანაშაულებების გამო, რაც მათ ადოლფ შლიკგრუბერთან ერთად ჩაიდინეს, რა პერსპექტივა ექნებოდა ასეთ პარტიას, მიიღებდნენ და აღიარებდნენ თუ არა მას ევროპული სახელმწიფოები, აშშ?

ცხადია, წარმოუდგენელია ასეთ რამ მომხდარიყო…

ის, რაც წარმოუდგენელია სხვაგან მომხდარიყო, რატომ გახდა წარმოსადგენი, მისაღები და დასაშვები საქართველოში?

საკაშვილი ხშირ-ხშირად იმეორებს, რომ გაიყვანა გზები, ააშენა ხიდები, განახორციელა სხვადასხვა პროექტები. როგორც ჩანს, მას ჰგონია, რომ ეს ყველაფერი გადაწონის და გადაფარავს იმ დანაშაულებს, (თვითონ რომ შეცდომებს ეძახის), რაც მას აქვს ჩადენილი.

ჰიტლერმა რომ გზები გაიყვანა, ხიდები, ფაბრიკები, ქარხნები ააშენა, იმასთან შედარებით, საკაშვილის ნამოღვაწარი, რა მოსატანია, მაგრამ ამის გამო არავის მოსვლია აზრად. მოდით, ამის გამო რაც დააშავა, ყველაფერი ვაპატიოთ და შეცდომებად ჩავუთვალოთ, ხოლო თუ ბოდიშს მოიხდის, ისევ რაიხსკანცლერად დავაბრუნოთო.

იქნებ ვინმეს ზედმეტად გაზვიადებული მოეჩვენოს ჰიტლერის და საკაშვილის, ნაცისტების და ნაციონალების შედარება და მათ შორის პარალელების გავლება?

მერწმუნეთ, მხოლოდ მასშტაბებშია განსხვავება, თორემ სისტემა, რომელსაც „ნაციონალები“ ეყრდნობოდნენ თითქმის ერთი-ერთში იმეორებს იმ სისტემას, რომელიც ნაცისტებმა ქვეყნის სამართავად აირჩიეს.

ჩვენ, ცოტა არ იყოს, ზედაპირული და არასერიოზული წარმოდგენა გვაქვს ფაშიზმზე, როგორც იდეოლოგიაზე და მას მხოლოდ სისასტიკესთან, სადიზმთან, ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ ულმობელ და უმკაცრეს მეთოდებთან, ჰუმანისტური იდეების სრულ იგნორირებასთან ვაიგივებთ.



ამ დროს ფაშიზმის მთავარი დევიზი, მთავარი პრიორიტეტი, ეს არის სახელმწიფო. ყველა და ყველაფერი სახელმწიფო ინტერესებს, მის გაძლიერებას, მის ძლევამოსილებას უნდა ემორჩილებოდეს და ექვემდებარებოდეს.

გაგიკვირდებათ და ლოზუნგი „ძალა ერთობაშია“, რომელსაც ოპოზიცია აფრიალებს, იტალიელი ფაშისტების ღერბზე აწერია…

საკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ დღემდე გვიმტკიცებენ, რომ მათ შექმნეს ახალი ქართული სახელმწიფო, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ქართული სახელმწიფოს გასაძლიერებლად და ასაშენებლად, რომ ყველაფერი სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებოდა.

დიდი ტყუილი, დიდი სიცრუე, დიდი ფარისევლობაა ეს!

პატრიოტული და გმირულ-ჰეროიკული პათეტიკა, რომელიც წითელ ხაზად გასდევდა ნაციონალების საქმიანობას, შირმა იყო, რომლის მიღმა იმავე ქვეყნის გამალებული ძარცვა მიდიოდა, რომელსაც ვითომ ასეთი ენთუზიაზმით აშენებდნენ.

დაანგარიშებული და დადგენილია, რომ ყოველ წელიწადს მილიარდამდე ლარი გადიოდა ხაზინიდან, რომელიც ნაციონალური ელიტის ჯიბეებში ილექებოდა.

როგორც ამბობენ, 16 მილიარდი დოლარი გაზიდა საკაშვილმა და მისმა ბანდამ საქართველოდან.

არაფერს ვამბობთ წართმეულ ქონებებზე, დაყაჩაღებულ და მიტაცებულ ბიზნესებზე.

აი, ასე „უყვარდათ“ საკაშვილს და ნაციონალებს სამშობლო.

●

„ნაციონალები“, სამშობლოს „აღმშენებლობის“ გარდა საერთაშორისო თანამეგობრობის და პარტნიორი სახელმწიფოების თვალის ასახვევად, წარმატებით „ებრძოდნენ“ რუსებს – ხან რუსეთის ჯაშუშურ ქსელს „აღმოაჩენდნენ“, ხან რუსეთის ცალკეულ აგენტებს „გაშიფრავდნენ“, ხან ანტისაოკუპაციო აქციებს მოაწყობდნენ, ამ დროს კულუარებში აქტიურად თანამშრომლობდნენ რუსებთან, ფართოდ უხსნიდნენ გზას რუსულ ბიზნესს საქართველოში, რუსებზე ყიდიდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს, ბოლოს კი ეს ყველაფერი იმით დააგვირგვინეს, რომ საქართველოს ტერიტორიების 20%-ი ლანგრით მიართვეს რუსეთს. მანამდე კი „მოსამზადებელი“ სამუშაოები ჩაატარეს – კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვეს, გაუქმებული „სამხრეთ ოსეთს“ სამართლებრივი და იურიდიული სტატუსი დაუბრუნეს, ანუ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ ტერიტორიული მთლიანობა აღუდგინეს თავის ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში, რამაც რუსებს საშუალება მისცა უფრო ადვილად და დაუბრკოლებლად ეცნოთ ამ ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობა.

●

ვინ და როდის დაწერს ნაციონალების მიერ ჩადენილი შავბნელი საქმეების შესახებ „შავ წიგნს“, ვინ და როდის შეკრავს ერთ დიდ საქმედ „ნაციონალების“ მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის ამსახველ საბრალდებო დასკვნას და როდის შედგება ქართული ნიურნბერგის პროცესი, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს „ნაციონალების“ და მათი განაყოფების პარპაში ქართულ პოლიტიკაში?

– ფაშისტები ხართ თქვენ! – უთხრეს ნაცებს და ეწყინათ – ეს რა გვაკადრეთ, ეს რა შეურაცხყოფა მოგვაყენეთ… არ ვართ ჩვენ ფაშისტებიო, – იუარეს.

მართალი ხართ, ნაცებო – არ ხართ თქვენ ფაშისტები!

მეც ფაშისტები გიძახეთ ამ წერილში, მაგრამ მეც არ ვარ მართალი – არ ხართ თქვენ ფაშისტები!

ფაშისტები რომ იყოთ, კიდევ რა გიჭირდათ, არ ხართ თქვენ ფაშისტები – თქვენ კრიმინალები ხართ!



# კორონავირუსის ვაქცინასთან დაკავშირებით რაც ახლა ხდება, ეს იმის გაგრძელებაა, რასაც პატრიარქმა შეფარული გენოციდი უწოდა



**● ბილ გეიტსი არ მალავს და სიამაყით აცხადებს, რომ ისეთი გენმოდიფიცირებული ვაქცინა შექმნა, რომელიც ადამიანის გენს მთლიანად შეცვლის.**

**● ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუკვლეველი ვაქცინით, არა მარტო ასაკოვანი ადამიანების, არამედ ბავშვების საყოველთაო აცრასაც აპირებენ, რაც შეიძლება, დიდი ეროვნული კატასტროფით დამთავრდეს.**

**„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას — „ვაქცინის გაკეთება, რომელიც ადამიანს კლავს და მის დნმ-ს ცვლის, შეიძლება სავალდებულო გახადონ“, რომელშიც კოვიდ-19-ის ვაქცინის საფრთხეებზე იყო საუბარი, დიდი გამოხმაურება მოჰყვა.**

**მკითხველთა დაჟინებული თხოვნით, ვაგრძელებთ საუბარს აკადემიკოს თინათინ თოფურიასთან, რომელიც ამ ინტერვიუშიც უკიდურესად საგანგაშო ინფორმაციებს გვაწვდის.**

**— ქალბატონო თინა, გთხოვთ, კიდევ ერთხელ განმარტოთ: რატომ არის ვაქცინა ასეთი საშიში ჩვენი ჯანმრთელობისთვის?**

— პირველ რიგში იმიტომ არის საშიში, რომ ეს არის სრულიად ახალი ტიპის ვაქცინა, რომელიც გენური ინჟინერიითაა შექმნილი და გენმოდიფიცირებულია. ყველა სიახლეს კი განსაკუთრებული შესწავლა და დაკვირვება სჭირდება. კაცობრიობას არ აქვს მსგავსი პროდუქტის გამოცდილება და








არაფერია ცნობილი მისი მოქმედების შესახებ. მეორეც ის, რომ ნაჩქარევადაა შექმნილი და სათანადო კვლევებს არ გადის. ვაქცინის მწარმოებლები არამარტო არღვევენ, არამედ ცვლიან ვაქცინის წარმოების კანონებს. თავიანთ ბიზნესზე ირგებენ და ადამიანების ინტერესს არანაირად არ ითვალისწინებენ. არ აინტერესებთ რა ბედი ეწევათ მათი ვაქცინით აცრილებს, რადგან მათ აღარ ეკისრებათ არანაირი პასუხისმგებლობა შედეგებზე — არც იურიდიული, არც ფინანსური, მორალურზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ხომ ხედავთ, როგორი არნახული სისწრაფით ქმნიან კოვიდ –19-ის ვაქცინებს და როგორი დაჩქარებული ტემპით ხდება მათი გამოცდა. არსებობს ვაქცინების გამოცდის დაკანონებული სტანდარტები, რომელთა დარღვევაც არაფრით არ არის გამართლებული, რადგან ეს დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. ეს სიჩქარე კაცობრიობის ჯანმრთელობაზე ზრუნვით როდია განპირობებული, მათ სუფთა კომერციული ინტერესი ამოძრავებთ. გასაგებია, რომ მილიარდებს ელიან. ამიტომაც არიან დასწრებაზე. თვალსაჩინოებისთვის დეტალურად გაგაცნობთ თუ რა ეტაპებს უნდა გადიოდეს ვაქცინა შექმნიდან ადამიანის ორგანიზმში მოხვედრამდე. ვაქცინის შექმნას 12–18 თვე სჭირდება. ამის მერე იწყება მისი მრავალმხრივი აპრობაციის მრავალწლიანი პროცესი. ჯერ ხდება პრეკლინიკური შესწავლა ცხოველებზე, ცრიან და იკვლევენ მათი იმუნური სისტემის რეაგირებას. გარკვეული დროის შემდეგ აავადებენ ვულგარული ვირუსით და აკვირდებიან რამდენად დაიცავს ეს ვაქცინა ცხოველს. მათი მდგომარეობის შედარება აუცრელ ცხოველებთან ხდება. თუ გაირკვა, რომ აცრილებმა ვირუსი უკეთ გადაიტანეს, ვიდრე აუცრელებმა, ექსპერიმენტი გრძელდება და იგივეს ატარებენ ადამიანებზე, რომელიც სამი ფაზისგან შედგება. პირველში მონაწილეობს მოხალისეთა მცირე რაოდენობა, მეორეში — ასობით ადამიანი, ხოლო მესამეში — ათასობით. მათ უკეთებენ ვაქცინას და აკვირდებიან, ზოგადად, როგორ რეაგირებს მასზე ორგანიზმი, იმუნური სისტემის რა კომპონენტების აქტივაცია ხდება, რომელი დამცავი ფაქტორები რა რაოდენობით გამოიყოფა და რამდენხანს რჩება. შემდეგ შეჰყავთ ვულგარული ვირუსი, რომელიც რეალურად ცირკულირებს და აკვირდებიან როგორ გადააქვს ადამიანს დაავადება ანუ, რამდენად იცავს ეს აცრა მოცემული ვირუსისგან. სწავლობენ გვერდით მოვლენებს და გართულებებს. თუ ყველაფერმა მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩაიარა და არავითარი სერიოზული გართულებები არ იქნა დაფიქსირებული, ის ჩაითვლება უსაფრთხოდ, წარმატებულად და დაიწყება მისი გამოყენება მოსახლეობაზე. ეს პროცესი 4–5 წელიწადს მოითხოვს, რაც მითითებულია ამერიკული **FDA** — ვებგვერდზე და რისი უგულველყოფაც ახლა, ამ ვაქცინასთან დაკავშირებით ხდება. შემდეგ, წარმოებს მუდმივი მონიტორინგი — აღრიცხავენ ყველა გართულებას, გვერდით მოვლენას და შორეულ შედეგებს. აკვირდებიან, ხომ არ იწვევს იგი უშვილობას, სიმსივნეებს, სიმახინჯეებს. ეს მინიმუმ კიდევ ხუთი წელი გრძელდება. ესე იგი, ვაქცინის შესწავლა გრძელდება 10–12 წლის მანძილზე. კოვიდ –19-ის ვაქცინისათვის ენტონი ფაუჩიმ, რომელიც ამ პანდემიის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურანტია, უპრეცენდენტო გამონაკლისი დაუშვა, გამოატოვებინა ცხოველების ფაზა და ვაქცინის გამოცდა პირდაპირ ადამიანებზე დაიწყეს ისე, რომ მისი უსაფრთხოება დადგენილი არ იყო! კვლევის პირველ ფაზაში მიღებული გართულებები, რომელიც მოხალისეთა 60%-ს აღენიშნებოდა, საგანგაშოდ არ მიიჩნიეს. სამაგიეროდ, მესამე ფაზაში ისეთი გართულებები მიიღეს, რომელთა გამოც სასამართლო მოკვლევა დაიწყო და ფირმა **Astra Zeneca** იძულებული გახდა ვაქცინის გამოცდა შეეწყვიტა. თუ რა გახდა ამის მიზეზი, სიმართლეს არასდროს გვეტყვიან. ოფიციალური ვერსიით ერთ ინგლისელ მოხალისეს სერიოზული ნევროლოგიური პათოლოგია დაემართა, რომელიც კორონავირუსის იშვიათ გართულებათ შორის არის აღწერილი. ეს არის ზურგის ტვინის ანთებითი დაავადება. ჩვენებმა გამოგვიცხადეს, რომ საგანგაშო არაფერია, რადგან ასეთი რამ ხდება-ხოლმე წამლების გამოცდის დროსო!!! ცოტა არ იყოს ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი არასაგანგაშო შემთხვევის გამო შეეწყვიტეს ასეთი სერიოზული და დაჩქარებული კვლევა! თანაც, ხუთივე ქვეყანაში, სადაც ის ტარდებოდა. შეგახსენებთ, რომ ამას წინ უძღვოდა ფირმა **Astra Zeneca**-ს მიერ გაკეთებული განცხადება, რომ იგი იხსნის პასუხისმგებლობას ყველანაირ მოსალოდნელ გართულებებსა და გვერდით მოვლენებზე. მან კვლევები მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელა, რაც ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილეს. ეს ნიშნავს, რომ იგი ამ გართულებებს ელოდა! როგორც ვხედავთ, ესეც სასწრაფოდ ჩაფარცხეს და ექსპერიმენტი მალე გაგრძელდება. არცაა გასაკვირი, რადგან კარგად ვხვდებით, რომ კოვიდ –19-ის ვაქცინას პოლიტიკური დატვირთვა უფრო აქვს და დაპირებისამებრ ნოემბრის არჩევნებისთვის მზად უნდა იყოს.

**— ჩვენთან როდის ვარაუდობთ მის შემოტანას? როგორც დაგვპირდნენ, პირველებს ჩვენ მოგვცემენ ამ ვაქცინას, მაგრამ ჯერ ხომ დიდ რაოდენობას ვერ დაამზადებენ?**

— ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში **FDA** ასევე, ნაჩქარევად მიანიჭებს „პრეკვალიფიკაციის“ სერთიფიკატს და პირველ პარტიას მალევე შემოიტანენ. ჩვენ ხომ განვითარებადი ქვეყნების სიაში ვართ. ასე, რომ ჩვენს ვაქცინაციას **GAV**-ი უწევს ზედამხედველობას ისევე, როგორც აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ხომ გახსოვთ, ივნისის სამიტი, სადაც მონაწილეობა ჩვენც მივიღეთ. ახლა, 9 ოქტომბრამდე სახელმწიფომ გადასახდელი თანხის ნაწილი — 20 მილიონი უნდა შეიტანოს.

**— კი მაგრამ სამიტზე ხომ შეგროვდა 8 მილიარდ 800 მილიონი. კიდევ რაღას გვახდევინებენ? რა ღირს ეს ვაქცინა?**

— სხვადასხვა ფირმებს განსხვავებული ფასები აქვთ. „ასტრაზენეკა“ რომლის ვაქცინასაც ჩვენ ვუკვეთავთ, აცხადებს, რომ პანდემიის დროს ის მოგებაზე არ იმუშავებს და სიმბოლურ ფასად ანუ, თავის ვაქცინას რამდენიმე დოლარად გაყიდის. ფირმა „მოდერნა“, რომელიც ასევე, ერთ-ერთი ლიდერია, ერთ დოზას 32–37 ევროს აფასებს. ინდოეთისათვის ბილ გეიტსი ისეთ დაფინანსებას გამოჰყოფს, რომ ერთი დოზა 3 ევრო ღირდეს. შეგახსენებთ, რომ GAV-ი ეს ის ორგანიზაციაა, რომელსაც ბილ გეიტსის ფონდი აფინანსებს და როგორც ახლახან გაგვიმხილეს სწორედ ის ნერგავს საქართველოში, ბოლო წლებში, ახალ-ახალ ვაქცინებს და უახლოეს პერიოდში კიდევ არაერთის დანერგვას აპირებს. ახლა, გასაგები გახდა რატომაც ჰყავს ამ აცრებს ამდენი თავგადაკლული პროპაგანდისტი. მათ კარგად აფინანსებენ.

**— როგორ მოხდება ვაქცინების გადანაწილება?**

— იმისთვის რომ სიღარიბის გამო არავინ დაიჩაგროს და ადგილი არ ჰქონდეს ე.წ. „ვაქცინაციურ ნაციონალიზმს“, როგორც ბილ გეიტსი აცხადებს: ყველა ქვეყანას იმისდამიუხედავად რამდენად გადახდისუნარიანია იგი, ვაქცინის პირველი პარტია თანაბრად უნდა შეხვდეს. ეს განისაზღვრება მისი მოსახლეობის 3%-ით, რაც უნდა მოხმარდეს სამედიცინო და სოციალურ მუშაკებს. შემდეგი პარტია იქნება 20%, რაც 65 წელზე ზემოთ ასაკის ადამიანებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მოხმარდება. შემდეგ, ვაქცინის იმ ქვეყნებზე გადანაწილება მოხდება, რომელთაც მეტად ემუქრებათ კოვიდ-19-ის საშიშროება. ვაქცინაცია მოსახლეობისთვის უფასო იქნება, თუმცა სახელმწიფოები საკმაოდ ძვირს გადაიხდიან.

**— თუმცა, როგორც ირკვევა**



**ვაქცინის უსაფრთხოება ისევ ეჭვქვეშ დგას?**

— მხოლოდ უსაფრთხოება არა. ბევრი რამ კიდევ დასადგენია. მაგალითად, მისი შეთავსებადობა სხვადასხვა წამლებთან, ქიმიოთერაპიასთან და სხივურ თერაპიასთან. ასევე, დასადგენია როგორ გადაიტანენ ვაქცინაციას დიაბეტიანები და ა.შ. რაც შეეხებათ ბავშვებს, მათზე ცდები არც კი დაწყებულა. როგორც ამბობენ, ბავშვებს სრულიად არ ერჩის კორონა და რომც დაემართოთ ვირუსი, ძალიან ადვილად გადააქვთ. მაშინ ჩნდება კითხვა: რამდენად სჭირდებათ მათ ეს აცრა? დღიდან დაბადებისა ბავშვს ხვდება სხვადასხვა სახის კორონა, რომელიც ვლინდება ხან სურდოს, ხან ცხვირის გაჭედილობის, ხან ცემინების ან მსუბუქი ხველის სახით და მისი ორგანიზმი ამას იოლად ერევა და კარგად სწავლობს ამ ჯგუფის ვირუსებთან თანაცხოვრებას.

**— თქვენ, ალბათ, იცით იმ დოკუმენტის შესახებ რომლის მიხედვითაც „იუნისეფი“ და ბავშვებზე „მზრუნველი“ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქვეყნებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ისინი კოვიდ-19-ის ვაქცინას უკვეთავენ და ყველანი ერთად იზრუნებენ იმაზე, რომ ბავშვები ამ ვირუსისგან „საიმედოდ“ იყვნენ დაცულნი. მათი განსაკუთრებული ყურადღების სამიზნე, პირველ რიგში, გაჭირვებული და ნაკლებშემოსავლიანი ქვეყნებია. მათ შორის, ჩვენც. რას იტყვით ამის თაობაზე?**

— გეტყვით, რომ ამ დოკუმენტმა და იმ შემართებამ, რომლითაც ჩვენი ქართველი მონაწილეები საუბრობენ, ძალიან დამაფიქრა. ჯერ ერთი ის, რომ ეს ვაქცინა უფროსებში გამოსაყენებლად არ არის ვარგისი და უსაფრთხო და ბავშვები როგორ უნდა ავცრათ, მათზე ხომ საერთოდ არანაირი კვლევები არც კი დაწყებულა?! როგორც თავად მწარმოებელი აღიარებს: „ბავშვებზე კვლევები დაიწყება მხოლოდ მას მერე, როცა ამ ვაქცინაზე ყველაფერი იქნება ცნობილიო“. ამას ხომ, როგორც გითხარით, წლები სჭირდება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რადგან ეს ჩვენს შვილებს უქმნის საფრთხეს — განვითარებულ ქვეყნებში ბავშვებზე ყოველგვარი სამედიცინო ექსპერიმენტები აკრძალულია. არადა, ფარმაკო-ფირმები სულ ახალ-ახალ წამლებს და ვაქცინებს იგონებენ. ამიტომ მათზე გამოცდებს მეორეხარისხოვან ქვეყნებში ატარებენ. ჩვენ გამორჩეულები ვართ კანის ფერის და რასობრივი კუთვნილების მიხედვით. აფრიკელზე, ინდოელზე ან ჩინელზე ჩატარებული კვლევა განსხვავებულ შედეგებს იძლევა. ჩვენი ბავშვები კი ყველაზე გემრიელი ლუკმაა. მათზე ჩატარებული კვლევების შედეგების გადატანა პირდაპირ შეუძლიათ თავიანთ ბავშვებზე. აქ, დიდი ხანია ეს სისტემა კარგად არის აწყობილი. ძალიან კომფორტული პირობები აქვთ შექმნილი და შემმოწმებელიც არავინ არის. ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდება და ხმის ამომღები არავინ არის.

**— მახსოვს, წლების წინ თქვენი ბრძოლა რამდენიმე უცხოური ფარმაკოფირმის წინააღმდეგ, რომლებიც ბავშვებზე რაღაც ცდებს ატარებდნენ. მაშინაც დიდი წინააღმდეგობები გხვდებოდათ.**

— დიახ, სწორად გახსოვთ, მაგრამ მაშინ სხვა სიტუაცია იყო — მეცნიერები გვერდით დამიდგნენ, ასევე, პრესაც და ტელევიზიაც. სხვათა შორის, „საერთო გაზეთი“ საკმაოდ აქტიურად აშუქებდა ამ თემებს. ეს იდეოლოგია, რაც დღეს თვალნათლივ ჩანს, სწორედ მაშინ იწყებოდა და ძალიან ცოტას თუ ესმოდა, რომ ვიღაცას ერის გადაკეთების სურვილი ჰქონდა. მხოლოდ პატრიარქმა მისცა სწორი კვალიფიკაცია და ამას შეფარული გენოციდი უწოდა.

**— არც ახლა სჯერა ბევრს, რომ ეს რეალობაა.**

— რაღა არ სჯერათ?! — ბილ გეიტსი არ მალავს და სიამაყით აცხადებს, რომ ისეთი გენმოდიფიცირებული ვაქცინა შექმნა, რომელიც ადამიანის გენს მთლიანად შეცვლის. ბავშვების ვაქცინაციასაც ბილ გეიტსი ხელმძღვანელობს. მთელი საერთაშორისო ბავშვთა დამცველები — „მზრუნველები“ მომართულები არიან, რომ ბავშვების რაც შეიძლება დიდი რაოდენობა იყოს აცრილი და რაც შეიძლება მეტი ვაქცინით. ახლა, ამას კოვიდ –19 დაემატა და ერთად უნდა ვიფიქროთ თუ როგორ ავარიდოთ ჩვენი პატარები ამ საფრთხეს! ნუ, წაიყრუებთ! ეს ძალიან სერიოზული თემაა და თუ ერთად არ დავდექით კატასტროფულ შედეგს მივიღებთ. არც იფიქროთ რომ გაგივათ „არ მინდა და არ ავცრიო“, ან სკოლაში არ ვატარებ და ამით პრობლემა მოგვარდებაო.









არა! იუვენილურ კანონს გამოიყენებენ და აცრაზე უარის თქმის გამო შეიძლება სულაც შვილი ჩამოგართვან! როგორც აცრების ერთ-ერთმა შეფმა განმიმარტა: ისინი კანონის მიხედვით იმოქმედებენ ანუ, „თუ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ ბავშვს ელის საფრთხე, ხოლო მშობელი ამაზე არ თანხმდება, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია ბავშვი ასეთი მშობლისგან დაიცვას“. ასე, რომ სიღარიბის გარდა, აუცრელობაც შეიძლება გახდეს ბავშვის ოჯახიდან წაყვანის და მისი სხვა ოჯახში მიბარების საბაბი. მე, ძალიან ცუდად მენიშნა ხელვაჩაურის პრეცენდენტი, როცა ერთი ოჯახიდან 9 ბავშვი გაიყვანეს და დროებით ერთ ოჯახს მიაბარეს. საეჭვოა ისიც, რომ მიმღები ოჯახი დათანხმდა, ერთდროულად, ცხრა უცხო სხვადასხვა ასაკის ბავშვის პატრონობას! ამან გარკვეული ეჭვები გამიჩინა. უცხო ადამიანების ბენეფიციარი ჯანმრთელი, განსხვავებული ასაკის, ერთი გენეტიკის ცხრა ბავშვი იდეალური საექსპერიმენტო მასალაა. ასეთი რამდენიმე ოჯახი და ესეც შენი ვაქცინის გამოცდა!

**— ასეთი ბოროტება წარმოუდგენელია.**

— რატომ? ვინმეზე ხომ უნდა გამოსცადონ? სულ ახლახან არ იყო ნიურნბერგის პროცესი?! თქვენ გგონია, ისინი კაციჭამიები იყვნენ? ახლა, ყველაფერი უფრო ცივილურად და უმტკივნეულოდ ხდება ჩვენზე „მზრუნველთა“ ხელით. რაღაც უცნაური დამთხვევების სერიაა: რატომ დაიწყეს სოცმუშაკების ასეთი დაჩქარებული გადამზადება, თანაც, საელჩოების პატრონაჟით?! რატომ დაემთხვა იუვენალური კანონის ამუშავება კოვიდ-პანდემიას?!

**— ორსულებზე რას იტყვით?**

— ორსულები განსაკუთრებული თემაა. მათზე არც გრიპის არცერთი ვაქცინის კვლევები არ ჩატარებულა, მაგრამ დიდი აგიტაცია მიდის — ვაქცინა ყველამ გაიკეთეთო. დარწმუნებული ვარ, იგივე მოხდება კორონაზეც — მათ რისკ-ჯგუფს მიაკუთვნებენ და პროპაგანდას დაიწყებენ. იმისათვის, რომ ორსულს რაიმე პრეპარატი შესთავაზონ, იგი აუცილებლად გამოცდილი უნდა იყოს როგორც უსაფრთხოებაზე, ასევე, მუტაგენობაზე ანუ, უნდა დადგინდეს, რომ არ იწვევს ნაყოფის სიმახინჯეებს. კორონათი არაერთი ორსული დაავადდა და სტატისტიკა დაგროვდა. გაირკვა, რომ ნაყოფზე არავითარ გავლენას არ ახდენს და ბავშვი სწრაფად ჯანმრთელდება ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. ხოლო ის თუ რა გავლენას მოახდენს ვაქცინა დედაზე და ბავშვზე, არავინ იცის. საერთოდ, როგორც ირკვევა ისეთი „აუცილებელი“ წამლები და ვიტამინებიც კი, რომლებსაც ბოლო წლებში რატომღაც მასიურად უნიშნავდნენ ორსულებს, არცთუ ისე უვნებელი აღმოჩნდა და ზოგი მათგანი არც მეტი არც ნაკლები ნაყოფში აუტიზმის ალბათობას ზრდის!

**— შეიძლება ითქვას, რომ კორონას როგორ გადაიტან იმუნიტეტზეა დამოკიდებული?**

— რა თქმა უნდა, ეგეც არის, მაგრამ არამარტო. ვინ როგორ გადაიტანს კორონას, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რა დახვდება მას ორგანიზმში. რაც მეტი ანტისხეული დახვდება, მით მეტია დამძიმების ალბათობა.ე.ი. რაც მეტი აცრა ექნება გაკეთებული, მით უარესია. ამის მაგალითია ის რაც იტალიაში და ესპანეთში მოხდა. ასაკოვან კონტიგენტს მასიურად ჩაუტარდათ სეზონური გრიპის აცრა, სადაც ოთხი ვირუსი იყო ერთდროულად. მათ შორის, ღორის გრიპიც, რომელიც მოხუცებისთვის ისედაც რთული გადასატანია. განვმეორდები და კიდევ ავხსნი: კორონას ჯგუფის ვირუსები ყველა სხვა ვირუსებისგან განსხვავებით იწვევენ პარადოქსულ იმუნურ რეაქციებს, რის შედეგადაც იწყება აუტოიმუნური პროცესები, რომლებიც ზოგჯერ ისეთი ძლიერია, რომ შეიძლება სასიკვდილოც კი იყოს. ამაში დიდ როლს თამაშობს ორგანიზმში დახვედრილი ზოგიერთი ანტისხეული, რომელიც კორონას კი არ ებრძვის, არამედ მას უჯრედებში შეღწევაში ეხმარება.

**— როგორ ფიქრობთ, კიდევ ჩაგვსვამენ კარანტინში?**

— ჯანმო იძულებულია აღიაროს, რომ რეგულაციებში გადამეტება მოუვიდა, რამაც ზოგადად, აგრესიის მუხტი გააძლიერა და სუიციდური ტენდენციები გაზარდა. ამიტომაც ის აღარ ითხოვს კარანტინს და სხვა ზომების გამკაცრებას.

**— იმედია, ჩვენი მთავრობაც გაითვალისწინებს ამ პოზიციას და სახლში აღარ გამოგვკეტავს?**

— გერმანელმა ვირუსოლოგებმა, რომელთაც სერიოზული კვლევები ჩაატარეს და ყველაზე ობიექტურ მონაცემებს გვაწვდიან მთელი პანდემიის განმავლობაში, დაადგინეს, რომ კოვიდის გამოვლინებას, ყოველგავრი ტესტირების გარეშე, სულ 5 დღე სჭირდება და ეს 14 დღიანი კარანტინი სრულიად ზედმეტია.

**— მათ ვისაც უსიმპტომო ფორმა აქვთ, მაგრამ კოვიდი ტესტირებით დაუდგინდათ, რით მკურნალობენ?**

— ეს საკითხი მეც მაინტერესებს, მაგრამ პასუხი ვერავისგან მოვისმინე. საერთოდ, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. მაგალითად, თუ ბავშვს ხველა აქვს, დღეში 3-ჯერ კოვიდზე უნდა დატესტო და სანამ პასუხს მიიღებ ყველა ვისთანაც კონტაქტში იყო, თვითიზოლაციაში უნდა დარჩეს? ეს ნიშნავს, რომ კლასიც და ოჯახიც, პრაქტიკულად, სულ პარალიზებული უნდა იყოს. როგორც წესი ბავშვების უმრავლესობას ზამთრის განმავლობაში 3–4-ჯერ აქვთ ხველაც და სიცხეც.

**— ისევ ვაქცინაციას დავუბრუნდეთ. ვაქცინაზე რომელიც ჯერ არ იციან უსაფრთხო იქნება თუ არა, სახელმწიფომ უკვე მისცა შეკვეთა 700 ათას დოზაზე. ვინც ხვდება ეს აცრა რა რისკებთანაა დაკავშირებული, რა თქმა უნდა, უარს იტყვის. ამიტომ, აცრა ნებაყოფლობითი უნდა იყოს?**

— რა თქმა უნდა, უმრავლესობა არ მოინდომებს ამ აცრის გაკეთებას. მე, ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც არ ეთქვას — არ მინდა და ძალით ხომ ვერ გამიკეთებენო. სამწუხაროდ, ასე არ არის. როგორ ფიქრობთ, ბილ გეიტსმა, ფაუჩიმ და სხვებმა იმისთვის გაიღეს ამდენი ხარჯი, რომ მილიარდების მოგების ნაცვლად ზარალზე წავიდნენ? თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბილ გეიტსის გეგმით 7 მილიარდი ადამიანი უსათუოდ უნდა იყოს აცრილი!

**— ძალით ხომ ვერ გაგვიკეთებენ?**

— არა, არავინ გაგვკოჭავს, მაგრამ ისეთ სანქციებს დააწესებენ, რომ იძულებულნი ვიქნებით.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— მთელი ეს ისტერია შიშზეა აგებული. როგორც ფაშიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი გებელსი ამბობდა: ადამიანები კარგად უნდა დააშინო და მაშინ შეძლებ აკეთებინო ყველაფერი, რასაც მოინდომებო. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა მოვიშოროთ შიში და გავაცნობიეროთ რასთან გვაქვს საქმე. რისიც გვეშინია, სწორედ იმას ვიზიდავთ. ნუ ვეძებთ პატრონს ნურც ცხრა მთას და ნურც ცხრა ზღვას იქით. ნურავის იმედი ნუ გვექნება. ჩვენ თავს თავადვე მივხედოთ, ხოლო პატრონს რაც შეეხება, გავიხსენოთ, ვისი წილხვედრი ქვეყანა ვართ და დახმარებისთვის მას მივმართოთ.

P.S. საკუთარი უფლებები თავად თუ არ დავიცავით, სხვა ჩვენს მაგივრად ამას არავინ გააკეთებს. ამისთვის არსებობს საკუთარი ნების გამოხატვის სხვადასხვა ფორმა. ჩვენმა გუნდმა აირჩია ყველაზე მშვიდი და ცივილური პეტიცია, სადაც ვითხოვთ: 1. აცრა იყოს ნებაყოფლობითი; 2. ვაქცინა, რომელსაც შემოიტანენ, იყოს გამოცდილი უსაფრთხოებაზე, ეფექტურობაზე, მუტაგენობაზე და ფერტილობაზე (შობადობაზე). დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება. რაც მეტი ხელმოწერა იქნება, მით მეტად გაითვალისწინებს ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნებს. გახსოვდეთ, რომ ძალა ერთობაშია!

თამარ შველიძე
555 23 28 24

# სიკვდილის მაგისტრალები

## საქართველოში ავტოავარიების შედეგად ყოველწლიურად 600 ადამიანი იღუპება, თუმცა განგაშის ზარები, ჯერჯერობით, არავის დაურისხებია



სანამ ავტოავარიების გამომწვევ ძირითად მიზეზებსა და ამ ტრაგედიაში ნაციონალებისა და მათი სატელიტი „ჰუმანისტების“ როლზე, დაწვრილებით ვისაუბრებდეთ, შემოგთავაზებთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშს, რომელიც მან 2018 წელს გამოაქვეყნა, იგი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას ეხება. ამ ანგარიშის თანახმად, საქართველოში მსხვერპლით დასრულებული ავტოავარიების რაოდენობა, მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. შეფასებული 40 ქვეყნიდან, სადაც ევროკავშირის ქვეყნებიც შედიან, 2015 წლის მონაცემებით, ამ კუთხით ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო ჩვენთან. ისლანდია, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ჩვენი მსგავსია (4,7 მლნ), 2015 წელს, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად ერთ მილიონ მოსახლეზე 36 ადამიანი გარდაიცვალა, ჩვენთან კი 164 ავტოავარია დასრულდა მსხვერპლით, რუსეთსაც კი ვუსწრებდით ამ მონაცემით. ცნობისთვის, ყველაზე ნაკლები ადამიანი შვედეთში იყო დაღუპული – 27 ადამიანი. 2017 წელს საქართველოში 6079 ავტოავარიაა მომხდარი, რომლის შედეგად 8461 ადამიანი დაშავდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური აცხადებდა, 2017 წელს ქულათა სისტემის დანერგვამ და უკონტაქტო პატრულირებამ გარკვეული შედეგი გამოიღოო, რა შედეგზეა საუბარი, ვერაფერს მოგახსენებთ, ფაქტი ერთია, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ეს ნოვაციები აშკარად არ კმარა. 2017 წელს, 8461 სს-ის საქმე აღიძრაო, ეს ის ავტოავარიებია, რომლის დროსაც დაშავებულები და გარდაცვლილები იყვნენ, თორემ ისე რამდენი შეჯახება მოხდა, რომელთაგან უმრავლესობა დაიფარა, ვინ მოთვლის. ავტოავარიების შედეგად ის – 2011 წელს 526 ადამიანი დაიღუპა; 2012 წ – 605; 2013 წ – 514; 2014 წ – 511; 2015 წ – 602; 2016 წ – 581; 2017 წ – 517. 2011 წ მომხდარია 4.486 ავტოავარია, დაშავდა 6.638 ადამიანი; 2012 წ 5.359 ს/შ – 7.734 დაშავებული; 2013 წ – 5.510 ს/შ, 8.045 დაშავებული; 2014 წ – 5.592 ს/შ, 8.536 დაშავებული; 2015 წ – 6.432 ს/შ, 9.187 დაშავებული; 2016 წ – 6.939 ს/შ, 9.951 დაშავებული; 2017 წ – 6.079 ს/შ, 8.461 დაშავებული. აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მეტი საგზაო შემთხვევა დედაქალაქში მოხდა – 47%, მაგრამ მსხვერპლიანი ავტოავარიების წილი რეგიონალურ გზებზე მათ შორის, ცენტრალურ ავტომაგისტრალებზე უფრო მაღალია 49%, მაშინ, როცა თბილისში ავტოავარიების 17% დასრულდა სიკვდილიანობით.

ყველაზე შემაშფოთებელი ის გარემოებაა, რომ სულ უფრო მატულობს იმ ავტოავარიათა რიცხვი, რომელთა დროსაც ბავშვები ზარალდებიან. სამცხე-ჯავახეთში 5 სექტემბერს მომხდარი ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა, ერთი ადამიანი (სავარაუდოდ, მძღოლი) შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მგზავრები დედა და მისი ორი არასრულწლოვანი შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. 11 სექტემბერს, ღამის საათებში, გორში კომბინატის დასახლებაში მსუბუქი ავტომანქანა ორ მცირეწლოვანს დაეჯახა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. გორში მანამდე ტრაგიკული საგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც ლამის მთელი ოჯახი ამოწყდა. გავრცელებული ინფორმაციით, მძღოლი, ბავშვების მამა, არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ავტომანქანას. ამ შემთხვევაში, რაღაზე უნდა ისაუბრო, როცა ადამიანი საკუთარ შვილებს არ ინდობს და სასიკვდილოდ იმეტებს მცირეწლოვან ბავშვებს. როგორც აღვნიშნეთ, საგზაო შემთხვევების 20%-ზე მეტი, ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების გამო ხდება, სანდო წყაროს განცხადებით, 2016 წელს, ავტოავარიის შედეგად 600 ადამიანი გარდაიცვალა, აქედან გაუმართავი ავტოტრანსპორტის მიზეზით 120 ადამიანია დაღუპული. 10.000 დაშავდა. 600 ადამიანი საქართველოს ერთი სოფლის მოსახლეობაა, გამოდის, ყოველწლიურად ერთ სოფელს ვკარგავთო. საქმე იმაშია, რომ ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მეტია და რატომ – სტატისტიკაში პირველადი მონაცემია, დაფიქსირებულია მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე, ან ცოტა მოგვიანებით ანდა მეორე დღეს გარდაიცვალნენ. რამდენიმე ადამიანი იღუპება მომდევნო დღეებში, თუნდაც ერთი თვის ან ერთი წლის შემდეგ? ეს ციფრებიც რომ დავამატოთ, გაცილებით ტრაგიკული შედეგი გვექნება. ეს შენიშვნა, ბუნებრივია, ყველა წლის სტატისტიკას ეხება. კი გვესაუბრებიან რაღაც ნოვაციებზე, გატარებულ ე.წ. ეფექტურ ღონისძიებებზე, მაგრამ სამწუხაროდ, მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ჩვენ არც ის ვიცით, კონკრეტულად რა ღონისძიებები ხორციელდებოდა კატასტროფული ვითარების გამოსასწორებლად და ვინ დაადგინა, რომ ეფექტი ექნებოდა. არსებულ მდგომარეობას თუ შევხედავთ და სტატისტიკასაც გადავხედავთ, ქმედითი ღონისძიებები ფაქტობრივად არ გატარებულა და „კონსულტანტები“ გვარიანად მოიკოჭლებენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ორგანიზაციის სფეროში. ამ თემაზე საჯარო საუბრისას ისეთი ხალხი აქტიურობს, რომელთა პროფესიონალიზმიც, რბილად რომ ვთქვათ, პირადად ჩემში ძალიან დიდ ეჭვს იწვევს და ამ კონტინგენტის კონსულტაციები რომ სასიკეთოდ არაფერს შეცვლის, ეს კი ნამდვილად არ იწვევს ეჭვს. თქვენს მონა-მორჩილის, რომელიც საქართველოს მასშტაბით, მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების თითქმის ყველა მეტნაკლებად პროფესიონალ სპეციალისტს იცნობს, განურჩევლად იმისა, ეცვათ თუ არა მათ პოლიციელის ფორმა და მათთან, როგორც ჟურნალისტს საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს, არასდროს უნახავს რომელიმე მათგანს აზრს რომ ეკითხებოდნენ ჟურნალისტები. ამ ხალხს ტელესტუდიებში არავინ იწვევს, ეტყობა ვერ დააკმაყოფილეს ჩვენი ფრიად „განათლებულ-ერუდირებული“ ტელეჟურნალისტიკის დონე, სამაგიეროდ, ახალი „მოდისა“ და „ახალგამომცხვარი“ ექსპერტები არიან მოთხოვნადი, რომელთა „შთაგონებული“ სახით გაკეთებულ განცხადება-შეგონებანს ჩირის ფასიც კი არ აქვს. დავიწყოთ იმით, რომელ მათგანია ავტომობილისტი, ან საერთოდ თუ აქვთ ტექნიკური განათლება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იურისტი მაინც თუა რომელიმე. იმ იურისტს ვგულისხმობ, იურისპრუდენციის ელემენტარულ ნორმებში მაინც რომ ერკვეოდეს, თორემ ასე ყველა იბრალებს იურისტობას. ისე, პატივცემულნო, იურისპრუდენციის ცოდნა, დამატებითი დეტალია, პირველ რიგში ოფიციალური მაკონტროლებელიცა და „მოხალისე“ ექსპერტიც, მოძრაობის ორგანიზაციასა და უსაფრთხოებაში უნდა ერკვეოდეს.

წინამდებარე სტატიას რომ ვამზადებდი, აღნიშნული სფეროს ერთ-ერთმა პროფესიონალმა სპეციალისტმა მითხრა, „ენჯეოშნიკებს“ რას დაემებ, როცა თავად საპატრულო პოლიციაშიც კი თითზე ჩამოსათვლელადაც კი არ ყავთ მეტნაკლებად პროფესიონალი კადრები, ავტოავარიის ნახაზსაც კი ვერ ადგენენ ნორმალურად. პოლიციის აკადემიაში რომ ატარებენ ვითომდა მომზადების კურსებს, ექვს თვეში როგორ შეისწავლიან საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების ნორმებს, რაც ურთულესი მეცნიერებაა და წლები ჭირდება მის მარტო თეორიულ შესწავლას.



მერე გამოცდილი კადრების გვერდით უნდა გაიარონ პრაქტიკა, მათი ზედამხედველობით უნდა იმუშაონ, მაგრამ ფაქტობრივად არავინ დატოვეს ნაცებმა ასეთი შსს-ში. არც მოქმედი ხელისუფლება ზრუნავს ნაცების დანაშაულის გამოსწორებაზე და ამ პრობლემის მოგვარებაზე, მრჩევლადაც კი არ იწვევენ არც ამ სფეროს სპეციალისტებს და საერთოდ, გამოცდილ, პროფესიონალ პოლიციელებს იგივე ოპერატიული მუშაობის კუთხით, რომ დამწყებ კადრებს მუშაობის ანაბანა ასწავლონო. ჩვენ წლების წინვე გვეპარებოდა ეჭვი, რომ დადებითი შედეგი მოყვებოდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში გასატარებელ რეფორმას, რომლის პაკეტის განხილვაშიც ხელისუფლებასთან ერთად, საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულნი, რომელთა „პროფესიონალზმსა“ და საქმის მცოდნეობაზე ზემოთ მოგახსენეთ. ნაცტელევიზიები თავიანთ განაყოფ „ენჯეოშნიკებს“ რომ სწყალობენ და მათი გარეკლამებით არიან დაკავებული, ეს კიდევ გასაგებია, ისაა გასაკვირი, ხელისუფლება რატომაა მუდმივად წითელი კვერცხის გორების რეჟიმში, ამ უცოდინარი და უწიგნური სექტის მიმართ. ეს კონტინგენტი ხელისუფლებასთან ტანდემში მხოლოდ კანონმდებლობის გამკაცრებაზე საუბრობდა, კერძოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიმართ სანქციები უკიდურესად გავამკაცროთო. ოღონდ ვერ გავარკვიე, არაფხიზელებად მხოლოდ ღვინო-არაყ-კონიაკდალეულებს და სხვა ალკოჰოლის თრობის ქვეშ მყოფებს განიხილავდნენ ეს არამკითხე „ენჯეოშნიკები“, თუ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფებსაც ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. ვინ უარყოფს, რომ მთვრალი მძღოლი პოტენციური მკვლელია, მაგრამ ვითომ ნაკლებად სახიფათოა „კაიფში“ მყოფი? იქნებ ამაზეც დაფიქრებულიყავითო, მოვუწოდეთ მაშინ იმ კონტინგენტს, იქნებოდნენ ეს პოლიტიკოსები, „ენჯეოშნიკები“, მედიის თუ საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც თავგადაკლულები ითხოვდნენ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზებას. ამ ე.წ. უფლებადამცველების ნაწილმა საკონსტიტუციო სასამართლოსაც კი მიმართა, არიქა, ადამიანის „ფუნდამენტური“ უფლებები გვერღვევაო. ხსენებულმა სასამართლომაც, რომელიც თემიდას მსახურზე მეტად, ნაცმოძრაობის ფილიალის ფუნქცია უფრო ქონდა შეთავსებული, ცხადია, დაუყოვნებლივ დაუკმაყოფილეს სოროსის ბახალებს მოთხოვნა. ლომის წილი თქვენც მიგიძღვით „კაპიტან გიგაურსა და კომპანიას“, რომლებსაც უსაფუძვლოდ არ გიწოდებთ საღად მოაზროვნე საზოგადოება ქვეყნის მოღალატეებს, იმ უბედურებაში, რაც წლებია სუფევს გზებსა და ქუჩებში. ახლა უკვე მარტო ალკოჰოლს არ სჯერდება მავანი უზნეო და არაპროფესიონალი მძღოლი, ღვინო-არაყსა

თუ ვისკ-ტეკილას ნარკოტიკსაც აყოლებენ და დაშლიგინებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასაფეთქებლად გამზადებული ბომბებივით. მარტო კანონმდებლობის გამკაცრება რას უშველის, თუ მთვრალი და „კაიფში“ მყოფი მძღოლი არ გამოავლინე და დასაჯე. დარღვევის გარეშე ავტომანქანის გარეშე გაჩერება არ შეიძლება, „ღაღადებენ“ ეს ვითომდა მძღოლების უფლებების დიდი დამცველნი. ამ ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მძღოლმა, შეიძლება პატრულის დასანახად მოძრაობის წესები არ დაარღვიოს, მაგრამ მერე ტრაგედია დაატრიალოს. ავტოავარიების შედეგად დაღუპულ ადამიანებს ამ საეჭვო წარმომავლობის ექსპერტებისა და „ჰუმანისტი“ ე.წ. უფლებადამცველების, რომლებიც „ტელევარსკვლავებად“ არიან ქცეულნი, ყალბი სინანული და თავის ქიცინი მოაბრუნებს საიქიოდან? ჟურნალისტობაზე პრეტენზიის მქონე ასევე „ფინაჩ“ სექტას, მათ მიერვე „კარგად“ გაპიარებული მდარე დილეტანტების ტვინის „ნაჟური“ რომ უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე პროფესიონალთა მოსაზრებები, ეს უკვე მოგახსენეთ.

ვიმეორებ, მარტო კანონმდებლობის გამკაცრება არსებულ საგანგაშო ვითარებას ვერ გამო-



ასწორებს, პროფესიონალთა განცხადებით, კომპლექსური მიდგომაა საჭირო, პირველ რიგში გზებსა და ქუჩებში საპატრულო პოლიციის კონტროლი უნდა გაძლიერდესო. რასაც ვხედავ ეს კონტროლი, ძირითადად, უსაფრთხოების ღვედის გამოყენებსა და მობილურ ტელეფონზე საუბარს ეხება, მგონი, მარტო ამ დარღვევებზე სჯიან მძღოლის, დიდი გამოვლენა-დამტკიცება ამას არ ჭირდება. ვითომ მხოლოდ ამ კუთხით პატრულების აქტიურობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს და მათ ალბათობას შეამცირებს? ტექნიკურად გაუმართავი ავტომოტო ტრანსპორტი ტანკივით რომ დაგრუხუნებს გადაჭარბებული სიჩქარით და დროგამოშვებით ქვემეხივითაც რომ დაიქუხებენ ხოლმე, თან ზალპით, ამ საშინელებას როდისმე აღკვეთთ პატივცემულნო? დამრღვევი მძღოლი რომ დასაჯო, პირველ რიგში უნდა გამოავლინო დარღვევაო, დიდი სიჩქარით, ამაზრზენი ღრიალით, ალის თუ ნაპერწკლების ყრით რომ ჩაგივლის პატრულს ავტომანქანა თუ მოტოციკლი გვერდით, რაღა გამოვლენა-დამტკიცება გჭირდება? ამათგან შეწუხებულმა მოქალაქემ თუ არ დარეკა 112-ზე, ისე ყური არ უნდა გააბარტყუნოთ, ან რამდენხნიანი მოქმედების ვადა აქვს ამ შეტყობინებას, მეორე დღეს იგივე რომ გრძელდება, ხანდახან გაძლიერებულ რეჟიმში იმავე მონაკვეთზე? მაინც და მაინც ავტოავარია უნდა მოახდინოს და ვინმე იმსხვერპლოს, რომ რეაგირება მოხდეს, ამ შემთხვევაში დამრღვევი მძღოლის დასჯა, უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავს. პატრული დარღვევის გარეშე არავის აჩერებსო ვთქვით, საუბედუროდ, ხშირ შემთხვევაში დამრღვევსაც არ აჩერებენ. შეიძლება თუნდაც ნასვამი ან „კაიფში“ მძღოლი თბილისიდან ქუთაისამდე თუ ზუგდიდამდე ისე ჩავიდეს, რომ არავინ გააჩეროს. არც ისაა იშვითობა, რომ ათეულობით კილომეტრიც ისე გაიაროს, ერთი საპატრულო ეკიპაჟი ვერ დალანდოს, თუ ბედმა გაგიღიმა და შეგხვდა, შეიძლება ისე გარბოდეს, რომ თავისი სავალი ნაწილის მიღმა არც იყურებოდეს. არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსხვერპლიანი ავტოავარიების უმეტესობა, სწორედ ავტომაგისტრალებზე ხდება. ნასვამ მძღოლებს განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში გარკვეული ვადით მართვის უფლების უკრძალავენ, მაგრამ არც ეს არის გამოსავალი, უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა მართვის მოწმობის გარეშე უსხედან საჭესო. ავტოავარიის გამომწვევ ძირითად მიზეზებად, პროფესიონალები სიმთვრალესთან ერთად გადაჭარბებულ სიჩქარესა და არასწორ მანევრირებასაც ასახელებენ, ტექნიკურ გაუმართაობაზე უკვე მოგახსენეთ, ასევე მნიშვნელოვანია დგომა-გაჩერების წესების დარღვევა, როცა მოძრაობა ფერხდება და ქვეითად მოსიარულეებსაც საფრთხე ექმნებათ. მოგეხსენებათ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობას საპატრულო პოლიცია ახორციელებს, მაგრამ შეძლებს კი ეს სამსახური სრულფასოვან კონტროლს, როცა კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის ფუნქციებიც მას აკისრია. როცა ძარცვა-ყაჩაღობის, ოჯახური ძალადობისა თუ სხვა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზეც პატრულებს იძახებენ, მათ ცხადია, რეაგირება უნდა მოახდინონ, რასაც დრო სჭირდება. ამ პერიოდში საგზაო მოძრაობის კუთხით მათი საზედამხედველო უბანი ფაქტობრივად უკონტროლოდ რჩება, თუმცა რამდენად პროფესიონალები არიან პატრულები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და ორგანიზაციის საკითხებში, ამაზეც უკვე ვისაუბრეთ.

„დემოკრატ-რეფორმატორმა“ სააკაშვილმა 2004 წელს საგზაო პოლიცია რომ გააუქმა, მთელი კონტიგენტი, რომელთა შორისაც უამრავი პროფესიონალი იყო, ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყარა, აქაოდა კორუმპირებულები ხართო. ეს ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები ჟვანია-სააკაშვილის მეთაურობით და მათი სატელიტი „ენჯეოშნიკები“ ხელისუფლების სათავეში მოსვლამდეც უხეშად ერეოდნენ იგივე საგზაო პოლიციის მუშაობაში. თურმე ადამიანის უფლებების დარღვევა იყო პროფილაქტიკური ღონისძიებები, ე.წ. რეიდები, რომლებსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ატარებდა საგზაო პოლიცია. ამ ღონისძიებების დროს არამარტო დამრღვევი მძღოლები გამოუვლენიათ და აღუკვეთიათ ავტოავარიების ალბათობა, არამედ სს-ის დამნაშავეები, წლობით ძებნილი პირები გამოუვლენიათ და დაუკავებით. ამგვარ ღონისძიებებს თავადაც ვესწრებოდი და საგაზეთო რეპორტაჟებს ვამზადებდი. მერე ხელისუფლების სათავეში მობრძანდა ეს სექტა და სისხლის კალო ამ სფეროშიც დაატრიალა. 2004 წლის ივნისში საგზაო პოლიცია რომ გააუქმეს, სანამ ახალშექმნილი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ქუჩაში გავიდოდნენ სამუშაოდ, 3–4 თვე ქუჩები ფაქტობრივად ზედამხედველობის გარეშე, როგორც პროფესიონალები იტყვიან, „გადაუხურავი“ იყო. სექტემბერში თუ ოქტომბერში კი გავიდა ეს ხალხი სამუშაოდ, მაგრამ ვინ იყვნენ ეს კადრები? სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა, რამდენიმე თვეში ცხრა თანამდებობა გამოცვლილი ირაკლი ოქრუაშვილის ჩათვლით, საპატრულო პოლიცია ფაქტობრივად, მთლიანად ქუჩაში მოკრეფილი, ორკვირიან სწავლება გავლილი ხშირ შემთხვევაში საეჭვო წარმომავლობის კადრებით დააკომპლექტა, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღი ტელევიზორში თუ ჰქონდათ ნანახი, ხოლო მართვის მოწმობები მუშაობის დაწყების წინ აიღეს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ამ „ბაგაჟის“ პატრონი პატრული როგორ გამოავლენდა დამრღვევ მძღოლს, როცა საგზაო მოძრაობის წესების მაღალ დონეზე ცოდნას ვინ ჩივის, ნორმალურად ავტომანქანასაც ვერ მართავდა და დიღმის ტერიტორია (აგრარული უნივერსიტეტის ეზო, გლდანი-დიღმის დამაკავშირებელ გზასთან მდებარე ავტოსადგომი) და ა.შ. ამ პატრულების მიერ დამტვრეულ-დალეწილი ძვირადღირებული ოპერატიული ავტომანქანების „სასაფლაოდ“ იყო ქცეული. სულო ცოდვილო, მათი პროფესიონალიზმში დღესაც ეჭვი მეპარება, რასაც ვუყურებ, დიდად ვერც ახლა დაიკვეხნის, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 16-წლიანი სტაჟი აქვს თავის დროზე სააკაშვილ-ოქრუაშვილის „სასიქადულო“ სამსახურს. საკუთარი თავის „ახალგაზრდა რეფორმატორებად“ მომნათლავების მიმართ არასდროს მქონია ნდობა-სიმპათია, ყოველთვის ქვეყნის მტრებად მიმაჩნდნენ თუნდაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებით, ვითომდა მძღოლების ინტერეს-უფლებების დამცველებისთვის, რატომღაც დამრღვევი მძღოლების დაზარალებული, მათ შორის დაღუპული ადამიანები არაფერს რომ ნიშნავდა, მაშინვე აშკარა იყო, უბრალოდ გულუბრყვილო ხალხის თვალში ნაცრის შესაყრელი პიარი იყო. საგზაო პოლიცია ხომ თურმე იმიტომ გააუქმეს, რომ კორუფციის ბუდე იყო, უამრავი პროფესიონალიც ქუჩაში იმავე მიზეზით გაყარეს, აქაოდა კორუმპირებულები არიანო, ცოტა მოგვიანებით ძველი კადრების მცირე ნაწილი მიიღეს საპატრულო პოლიციაში. ყველაზე კურიოზული ისაა, რომ „უმწიკვლო“ საპატრულო პოლიციაში ის ხალხი დააბრუნეს, რომლებიც ყველაზე დიდი „ვზიატოჩნიკები“ იყვნენ და არც საქმის ცოდნით ბრწყინავდნენ. ჯერ ერთი, იმ მიზერულ ხელფასიან პოლიციელებს, რომლებიც ამ ხელფასსაც თვეობით ვერ იღებდნენ და სამუშაოს შესრულებაც საკუთარი ავტომანქანებითა და საწვავით უწევდათ, ეს გაზულუქებული სექტა კორუმპირებულებს რომ დასძახოდა, მათთვისაც შეექმნათ ის პირობები, რაც უცოდინარ და გამოუცდელ პატრულებს შეუქმნეს. თუ რომელიმეს ქრთამისკენ ხელი წაუცდებოდა, მკაცრად მოეთხოვათ პასუხი, თუნდაც ციხეში გაეშვათ, რაღაცა მცირე ნაწილის ცოდვის გამო, რატომ უნდა დარჩენილიყო ქვეყანა, სადაც ურთულესი ვითარება იგივე ავტოავარიების კუთხით, რატომ უნდა დარჩენილიყო არაპროფესიონალების ამარა? ავტომაგისტრალის რომელიმე მონაკვეთზე, ან ქაკლაქის ქუჩაში, სადაც დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მსხვერპლიანი ავტოავარია ხდებოდა, იმ მონაკვეთზე, რომელსაც ავარიულად დაზიანებულ უბანს უწოდებდნენ საგაო პოლიციელები, გაძლიერებული პატრულირება ხდებოდა, რომ ავტოავარიის ალბათობა შემცირებულიყო. ახლა ხდება ასეთი ღონისძიებების გატარება, ღმერთმა იცის. გურგენა დონაძის შსს-ს პრესსპიკერობისას რომ ჩაკეტეს ეს უწყება ჟურნალისტებისთვის, დღემდე იგივე მდგომარეობაა, ნუ ეხლა იქაური ჩინების დაქალძმაკაც ჟურნალისტებს, თან ნაცმედიიდან არ ვგულისხმობ, მათთვის „მწვანე შუქი“ გარანტირებული აქვთ, თავადაც ნაცებიდან გადმოპორტირებულ „ჩინებს“. ნაცებო, საგაზაო პოლიციის სტაციონარული და მოძრავი საგუშაგოები რატომღა გააუქმეთ, ან ამ პოლიციელის მარეგულირებელი ჟეზლი რომ ამოიღეთ ეკიპირებიდან, რაო ვითომ კორუფციას უწყობდა ხელს? სწორედ ამ საგუშაგოებს გადაეცემოდა დარღვევების შესახებ ინფორმაცია, მათი მეშვეობით ხდებოდა დამრღვევი მძოლების გაჩერება და შემდგომი რეაგირება. არაერთხელ გაუჩერებიათ იგივე „ნატახტარის“ სტაციონალურ საგუშაგოზე („ტეკი“) დიდი სიჩქარით მოძრავი ავტოტრანსპორტი, რომელსაც ნასვამი მძღოლი თუ სს-ის დამნაშავე რომ მართავდა. ხელისუფლებავ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი გეტყვით, არ უნდა ამას მაინცდამაინც სპეციალური განათლება, რომ თუ გვინდა შემცირდეს საქართველოს გზებზე და ქალაქებში მსხვერპლიანი და საერთოდ ავტოავარიების რაოდენობა, მეტნაკლებად დამყარდეს წესრიგი, აუცილებლად უნდა მოხდეს საპატრულო პოლიციის ბაზაზე თუ როგორც გნებავთ, სპეციალიზაცია, ანუ იმ სამსახურის ჩამოყალიბება და ამოქმედება, რომელიც შსს-ს შემადგენლობაში იქნება და მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზედამხედველობას უზრუნველყოფს. მერე ამ სამსახურს გნებავთ საგზაო პოლიცია დაარქვით და გნებავთ ავტოინსპექცია. ამ კოსმეტიკური ცვლილებებით რომ არაფერი გამოდის, თუნდაც 16 წლის მანძილზე უნდა მიმხვდარიყავით. საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია რომ ჩამოართვეს შსს-ს და დედაქალაქის სატრანსპორტო სამსახურს გადასცეს, სადაც მხოლოდ ორი ჭკუასაკითხავი ადამიანია და იმათაც აქამდე არ უსმენდით, იციით თუ არა, რომ იმავე თბილისში 133 საგზაო ნიშანი და რამდენიმე შუქნიშანი გასაუქმებელი ყოფილა, ესეც სულ მინიმუმ. ამიტომაცაა დედაქალაქში ქრონიკული „საცობები“, აცხადებენ კომპეტენტური ადამიანები.





**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# პოლიტკლიმაქსიანები

## იცოდით, ხალხო, სააკაშვილი უგულავას რომ გაუგდია საქართველოდან?



კახეთში ვარ, ჩემ სოფელში. მეზობლის სახლიდან ყოველ საღამოს წიოკის ხმა გამოდის: ხან კაცი იძახის, მე შენი იმის ეგრე და იგრეო, ხან ქალი კივის — ამას და იმას გიზამ, შენ დაბალი ღობე ხო არ გგონივარო?!

კაცო, ვფიქრობ, ნეტა რა ხდება?

არა, კაცი მთელი დღე თავის ცოლს ისედაც აგინებს, მაგრამ წესით საღამოს დაღლილი უნდა იყოს, ეგეთი წიოკის თავი აღარ უნდა ჰქონდეს. არადა, რვა საათზე რო იწყება, თორმეტ-პირველ საათამდე არ ჩერდება.

რა ვქნა, გავიდე? თან მერიდება, ოჯახის საქმეებში ჩარევა არ მინდა, ზედმეტად მიმაჩნია. ერთ საღამოს რო იყოს, კიდე ჰო, ყოველ საღამოს ეგრეა, დავიღალე და გავსავვათდი.

სხვათა შორის, ხან რამდენიმე კაცისა და რამდენიმე ქალის ხმა ისმის ხოლმე. მიკვირს, ამ სახლში ორნი ცხოვრობენ, ცოლი და ქმარი, ქმარი და ცოლი.

თურმე რა ხდებააა!

ამას წინებზე ფარული გამოძიება ჩავატარე და მეზობლები გამოვკითხე და ერთმა მითხრა, მე ვიცი, რაც ხდება, მაგრამ ვერ ვიტყვიო. რატომ ვერ იტყვი-მეთქი? პოლიტიკურიაო.

ვააა, პოლიტიკური? არ არსებობს, როგორ, რანაირად? მიდი, ეხლა ნუ ატრაკებ, თქვი-მეთქი!

ეგაო, „ნაცურად“ უბერამს, ტელევიზორი აქ ჩართული, გრიგოლიას და გვარამიას გადაცემებს უყურებსო.

აუუუ!

აქამდე როგორ ვერ მივხვდი?!

დაზვერვითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ჩემი მეზობლის ოჯახში ყოველ საღამოს ჩხუბობენ: ინგა გრიგოლია, ეკა კვესიტაძე, ნიკა გვარამია, ბადრი შუბლაძე, ლევან ხაბეიშვილი, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, გია ბარამიძე, გიორგი (ჯუნიორ) ვაშაძე, გრიგოლ (ღრიღოლ) ვაშაძე, გუბაზ სანიკიძე, შალვა ნათელაშვილი, რომანოზა გოცირიძე, მაია ორჯონიკიძე, თინათინ ბოკუჩავა, თაკო ჩარკვიანი, მეგი გოცირიძე, სალომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია, ნოდარა მელაძე და სხვები.

ვის ეჩხუბებიან?

გარეგანი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პირები ეჩხუბებიან ბიძინა ივანიშვილს. მეტიც, ისინი ემუქრებიან საქართველოდან გაგდებით და ეწევიან ბულინგს. ვინაიდან და რადგანაც, ბიძინა ივანიშვილი მათ თავს არ უყადრებს, ანუ არ პასუხობს, არიან ისტერიკაში. სანდო წყაროს თქმით, პერიოდულად ჭყლოპინებს, ცხვირში თითს იყოფს და ჩამოსვლით იმუქრება მიხეილ სააკაშვილი. ამ დროს, თურმე, მეზობელი გამოჰყოფს ადრენალინს და ორგაზმს განიცდის. რავი, ისეთ ასაკშია, კლიმაქსი კაი ხნის გადატანილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ იძახიან, მიშას დანახვაზე მაინც ორგაზმს განიცდისო.

შევეშვათ მეზობელს, მაგას თავისი გაჭირვებაც ეყოფა. მე ეხლა ის უფრო მაწუხებს, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები თავის მართლებაზე რომ არიან გადასულები. დღე არ გავა, ათიოდე განცხადება არ გამოქვეყნდეს ერთი და იგივე შინაარსით: ხალხო, ჩაჯვი გვარამიამ ესა და ეს რომ თქვა, არ დაიჯეროთ, სრული სიცრუეაო. ხალხო, ნოდარა მელაძემ წუხელ რომ დააბოყინა და ჩვენ დაგვაბრალა, არც ეგ დაიჯეროთ, ხალხო, გუშსაღამოს ეკა კვესიტაძემ რომ ამოიკვნესა, ციხეებში პატიმრებს აწამებენ, ტყუის, ეგეთები მიშა სააკაშვილის დროს ხდებოდა, ჩვენთან არც კი დაურეკავთ, არც კი გადაუმოწმებიათო.

რა გამოდის? „ჩაჯვივიზიები“ მიედ-მოედებიან, სახელმწიფო უწყებები კიდევ თავის მართლების რეჟიმში არიან!



მრჩება შთაბეჭდილება, სამინისტროებსა და დეპარტამენტებში სხვა საქმეები აღარ აქვთ, მიმსხდრები არიან ტელევიზორებთან და ელოდებიან, რას მოიგონებს ერთი ჩაჯვი, რა სიზმარს ნახავს მეორე ჩაჯვი, როგორ ხასიათზე გაიღვიძებს მესამე ჩაჯვი!

წერენ, წერენ და წერენ განცხადებებს — არიქა, ეს სიცრუეა, ის ტყუილია, ვაი, ვაი, ეგრე არ შეიძლებაო!

თქვენა, კაცო, მიმართეთ სასამართლოს, როგორც წესი და რიგია!

ეხლა არ თქვათ, ცილისწამებაზე კანონი არ არისო.

არის!!!

ცილისწამებაზე ისეთი ჯარიმების არტყმა შეიძლება, გვარამიას და მელაძეს დამწვარი „კალოტკების“ სუნი აუვათ!

ხალხო, აქ მე დავიღალე თავის მართლებით, მანდ თქვენ რა მოგივიდოდათ?!

მე ჩემი ვთქვი, ეხლა სიტყვა უწყებებზეა, თუ უნდათ, ისე მოიქცნენ, როგორც ვეუბნები, თუ უნდათ, ჩემი მეზობლებივით უსმინონ ჩაჯვთა ბრიგადას და მერე დეპეშები აგზავნონ ჰაერში. აქ მეორე პრობლემაა, ჩემი მეზობლები მარტო ტელევიზორს უყურებენ, ესენი რომ წერენ, ტყუილიაო, არ კითხულობენ, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გაგნებაში არ არიან, მორჩა, მაგათთვის ჩავლილი ამბავია. აგერ, ბადრი შუბლაძემ თქვა, მიშა მსოფლიოში პირველი პოლიტიკოსია, შეგშურდეთ ქოცებოო. მოუსმინეს ამათ, ამ ჩემისებმა და დაიჯერეს, მაგათთვის ბადრი ავტორიტეტია.

ამას წინებზე ვწერდი, ავტორიტეტები გვჭირდება-მეთქი. საზოგადოების ერთი ნაწილი იმიტომაც გახლავთ ჩაბნელებული, რომ ზოგიერთთათვის მეგი გოცირიძეა სამაგალითო, თინა ბოკუჩავაა მეორე ჟანა დარკი, ლევან ხაბეიშვილია ვაჟკაცობის სიმბოლო. იცით, რა თქვა რამდენიმე დღის წინათ გიგი უგულავამ? ხელისუფალის, რომელიც ხალხს თავზე დააჯდება, აუცილებლად გავუშვებთო. ასე გავუშვით შევარდნაძე, ასე გავუშვით სააკაშვილი და ასე გავუშვებთ ივანიშვილსო. გაიგონეთ? სააკაშვილი ჩვენ გავუშვითო, იმიტომ, რომ ხალხს თავზე დააჯდაო. ამას ამბობს უგულავა, კაცო, თბილისის ყოფილი მერი, 50 მილიონის მიმტაცებელი. ეგ რაც გაუგეს, თორემ რაც მაგას აქვს ნაყაჩაღარი და ცოლის დუნდულებზე დახარჯული, ვერ დაითვლით!

იცით, ამ ე.წ. ოპოზიციაზე ზედაპირული დაკვირვების შედეგად რა დასკვნამდე მივედი? თურმე ბოროტების კეთებასაც ნიჭი უნდა. აი, მაგალითად, შეიძლება ადამიანი იყოს მავნებელი, მაგრამ ისე მავნებლობდეს, რომ პირი დაგაღებინოს თავისი ნიჭით. ესენი ბოროტების კეთებაშიც უნიჭოები არიან, ეგრევე იშიფრებიან და ისეთ რაღაცებს აკეთებენ, გეგონება ეს ესაა ჩამოფრინდნენ სხვა პლანეტიდან, წუხელ აქ არ სძინებიათ. ამათი ტაქტიკა ნახეთ: იჭაჭებიან, ნაკერავზე იხევიან, ადამიანური სახეები დაკარგული აქვთ, თვითონაც არ იციან, რას მიედ-მოედებიან. მეორე ნიშანდობლივი ფაქტორი — ყველანი ბიძინა ივანიშვილს ემუქრებიან: ბიძინას ამას ვუზამთ, ბიძინას იმას ვუზამთ, გავუშვებთ, გავაგდებთ, დავამარცხებთ! ესენი ისეთ სურათს ხატავენ, გეგონება ამ ქვეყანაში მხოლოდ ესენი არიან და მორჩა, მეორე მხარეს კიდევ დგას შეშინებული ივანიშვილი, მარტოა, აღარც მხარდამჭერები ჰყავს, აღარც არავინ. უყურებს ამ ყალბ სურათს ჩემი მეზობელი, რომელიც ბოლომაზეა, რომელიც შეძლებულ ადამიანს დასანახად ვერ იტანს, რომელიც სხვის დახვრეტაზე ოცნებობს, იჯერებს, გარეთ გამოდის და მეკითხება: ჰა, ბიჭო, ამ არჩევნებზე ივანას ვაგდებთ? უკვე ისეა გათავხედებული, ბიძინას ივანას ეძახის.

ვააა, აღარ უშლიან? შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, ამხელა ქველმოქმედი, ამხელა დამსახურების მქონე ადამიანი რომ გააგდო?!

არც ერთი ხელისუფლების დროს არ დაუდვია ერთი აგურიც კი, მარტო იმათ აგინებს, ვისაც თვალში წყალი უდგას, ვისაც ცოტა შნო და მარიფათი აქვს. ბადრი შუბლაძე ან სხვა გამოქლიავებული გამოვა ტელევიზორში, დასჭყივლებს, „ქართულმა ოცნებამ“ არც ერთი დაპირება არ შეასრულაო და ესეც თავს უქნევს. ამ დროს საკუთარი თვალით ხედავს, რომ შეასრულა — გზა გაუკეთა, წყალი გაუკეთა, გაზი მისცა, დენს აძლევს, ინტერნეტი შეუყვანა (თუმცა არ იყენებს), ადრე თუ ტლაპოში იხრჩობოდა, ახლა ისე შედის სახლში, „კალოშები“ აღარ უსველდება.

აბაო, ივანიშვილი რო იძახდა, ყველა სოფელი 5 მილიონს მიიღებსო, სად არიო?!

ალბათ ყველა სოფელმა ჯერ ვერა, მაგრამ ძალიან ბევრმა 5 მილიონიც მიიღო და 10 მილიონიც — კახეთში თითქმის ყველა ორღობეში ასფალტი იგება და იქ, სადაც წყალი კომუნისტების დროსაც კი არ იყო, კეთდება. რამდენიმე თვის წინათ 27 მილიონი ლარი გამოიყო, სიღნაღის რაიონში 7 სოფელს მუდმივი წყალი ექნება. წნორს უკვე აქვს მუდმივი წყალმომარაგება. ამას წინებზე ერთი წნორელი მირეკავს, წყლის გემო რაღაცნაირად არ მამწონსო. რათამეთქი? პერიოდულად ქლორი გემო დაჰკრამსო. ბიჭოოო, ეგეთი რამე გაგონილა? ეხლა დავდგე და ავუხსნა, რატომ „დაჰკრამს“ ქლორის გემო იმ წყალს, რომელიც საერთოდ არ გქონდა და წყურვილით იხრჩობოდი, შე შობელძაღლო?!

იმ დღეს... არც რიცხვი მახსოვს, არც ის, შაბათი იყო თუ კვირა, მიხეილ სააკაშვილი გამოჩნდა ტელევიზორში. მეთუთუნე ავთოს არხმა წააწერა ეკრანზე: „მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად ბრუნდება“. ლამის მოვკვდი სიცილით... თუმცა ჩემი მეზობელი, ზემოთ რომ გაგაცანით, კაი ხასიათზე დამდგარა, ბრუნდებაო, კაცო, ბრუნდებაო, ეხლა კი მეეტყვნა დედა ყველასაო. მიხომ მას ასე მიმართა:

„მე ისტორიაში უკვე ვარ შესული, მთელი რეგიონის ისტორიაში, როგორც ყველაზე ცნობადი პოლიტიკოსი, მე მაქვს დიდი საერთაშორისო სახელი და მყავს ბევრი მიმდევარი, მაგალითად — ცნობილი ყაზახი მილიარდერი, რომელიც ჩემთან ჩამოვიდა და მითხრა — „მინდა რაღაც ვისწავლო შენგან, რომ მერე გამოვადგე შუა აზიას და ჩემს რეგიონს“.

ამის შემდეგ იმავე არხზე გაიჩითა გუბაზ სანიკიძე და თქვა: თქვენაო, საქართველოს მოქალაქეები გახარებულები უნდა იყოთ, მე და მიშა თანამებრძოლები რომ გავხდითო. უხარია ჩემ მეზობელსა, ისე უხარია, ადრენალინი გადმოსდის ყურებიდან. მართალია, ვერ გაიგო, რატომ შევიდა ისტორიაში მიშა, მაგრამ სამაგიეროდ მიხვდა, რომ იგივე მიშა და გუბაზი ერთად აპირებენ ბიძინა ივანიშვილის დამხობას. მე რომ ვეუბნები, იქამდე არ აუდგათ მაგათ გვერდები-მეთქი, მეზობელს სწყინს, უკადრისობსსავით, ბადრი შუბლაძემ თქვა, ეგრე იქნებაო, შენ რა იციო? ჰო, მე არ ვიცი, თურმე მეგი გოცირიძემ იცის და იმან კიდევ... მშობლები ჩაჯვის რომ ეძახდნენ ბავშვობაში.





**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ოპოზიციის ერთობა დროებითია. მალე ისე დაერევიან ერთმანეთს, რომ, შეიძლება, „ქართული ოცნების" გასაშველებლები გახდნენ...

***ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან:***

**— მამა ბასილ, მოგესალმებით. საკმაო ხანია თქვენი ინტერვიუები არ დაბეჭდილა გაზეთებში, ხელი ხომ არ ჩაიქნიეთ?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

მართალი ბრძანდებით, ბოლო პერიოდში დაკავებული ვიყავი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საქმით. დავამთავრეთ ეკლესიის მოხატვა, რაც მრევლთან ერთად დაუღალავი შრომის ნაყოფია. ეს ულამაზესად მოხატული გრანდიოზული ტაძარი, გამშვენებული ეზოთი, ამასთან ერთად, მოუწყენელი ლოცვა, ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, დიდ დროს მოითხოვს. რაც შეეხება ხელის ჩაქნევას, ღმერთმა დამიფაროს. ვიბრძოლებ, სანამ სული მიდგას.

**— არჩევნები ახლოვდება, თქვენი თვალთახედვით, საზოგადოებამ ვის უნდა დაუჭიროს მხარი?**

— თვალყურს ვადევნებ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. არსებული მოვლენებიდან გამომდინარე, გული ისე მაქვს აცრუებული, აღარ ვიცი, საიდან დავიწყო ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის მხილება. 74 წლის ასაკის ვარ და საქართველოში ამდენი გამყიდველი არასოდეს მინახავს. ჩემო კარგო, დესტაბილიზაციის რეჟიმში ვართ მოყოლებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობიდან — 20 ივნისიდან — დღემდე. სასულიერო პირი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო. მე კი მიმაჩნია, სასულიერო პირი იგივე ერის წარმომადგენელია, ისე, როგორც საერო პირი, იგივე ინტერესებით, პატრიოტული რწმენით. დავესესხები დიდ ილიას: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილის გასაერთიანებლად და შემოსაკრებად"...

ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები ყოველნაირად უშლიან ხელს ქვეყნის განვითარებას. ჩასაფრებული არიან, როგორმე ვიღაც გარდაიცვალოს, რაიმე გაფუჭდეს, რომ „ოცნებას" დაბრალდეს. მე, სერიოზული ფორმით, ბრალს დავდებდი ფაქტობრივ ხელისუფლებას, რამეთუ ოპოზიციის წარმომადგენლები: გიგა ბოკერია, ბარამიძე, უგულავა და ძმანი მისნი, კრიმინალური დამნაშავეები არიან. უგულავამ მილიონები შეჭამა და კვლავ აქეთ იმუქრება. ბოკერია, რომელიც ქვით დასდევდა მორწმუნეებს, 8 კაცის მკვლელი კაცი, რომელიც გისოსებს მიღმა უნდა იყოს, მაღალი ეშელონებიდან გვემუქრება, ბარამიძეს რაც აქვს ჩადენილი ყველამ უწყის, რომელი ერთი ჩამოვთვალო? თუ ჩვენ დემოკრატიას ვაშენებთ, სამართლიან ქვეყანას, მაშინ რატომ გვიჭირს კონსტიტუციის აღსრულება? კანონის უზენაესობით რატომ ვერ ვუმტკიცებთ ქართველთა დაუძინებელი მტრების დამცველებს — რომ ისინი კანონის ძალით უნდა დაისაჯონ. მე ერთი მღვდელი მრევლით, გურამ შარაძესთან ერთად, მსოფლიო სატანიზმს ვებრძოდით სოროსის სახით. ჩვენ მხოლოდ ღმერთის უნდა გვეშინოდეს და არა დამნაშავეთა დამცველების, არ უნდა დასრულდეს სხვისი მითითებებით არსებობა?



მე 2012 წლიდან მოვუწოდებდი ახლადმოსულ ხელისუფლებას, კერძოდ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მოეშორებინა ის მოღალატენი, რომელნიც შეიწყალა და სწორედ მათ მოუბრუნეს ღალატის ისარი.

ე.წ. ოპოზიციის ერთობა დროებითია. მალე ისე დაერევიან ერთმანეთს, საშვილიშვილოდ გადაეკიდებიან და მათი მოჩვენებითი ძმობა წარსულს ჩაბარდება. „ნაცმოძრაობის" მიმდევრები ბინძურ სცენას გაითამაშებენ, რომ ჩირქი მოსცხონ „ქართულ ოცნებას" არჩევნების წინ, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწევენ. რაც შეეხება თქვენ კითხვას: ვის აირჩევს ხალხიო, გიპასუხებთ.

ხალხი ბრძენია, ჩემო კარგო. საზოგადოება არჩევანს იმის მიხედვით გააკეთებს, ვინ რას აკეთებს საქართველოს საკეთილდღეოდ. ბუნებრივია, მას მიცემს ხმას, ვინც გააუმჯობესებს ცხოვრების პირობებს. ჩემი ვარაუდით, „ქართული ოცნება" 57%-ს აიღებს. ხალხს ისევ ესენი ურჩევნია. რამეთუ, ყოველ შემთხვევაში, ურალის მანქანით არ ლეწავენ კაპიკებით აგებულ ტაძარს, მოხუცებსა და ბავშვებს ჟანდარმერიას არ უსევენ, როგორც პირსისხლიანმა სააკაშვილმა ჩაიდინა მის ბრბოსთან ერთად.

**— როგორც ვხედავთ, საქართველოს ცხოვრება, ქვეყნის განვითარება, ჯერჯერობით, წინ ვერ მიჰყავს პოლიტიკურ პარტიებს.**

— ჩემო კარგო, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ვერ წაიყვანს საქართველოს აღმავლობის გზით. ისინი სოკოებივით მრავლდებიან მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის. მათთვის ერის ინტერესები უგულებელყოფილია. დღევანდელი გადასახედიდან, ფუჭია ოცნება იმაზე, რომ დავითისა და თამარის ოქროს ხანა დაგვიდგება. მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ და განსაცდელს არ უნდა შევეპუოთ.

ნიკოლოზ მაქარაშვილის შესახებ თქვენ გსმენიათ რამე?

**— კი, გამიგია.**

— ნიკოლოზ მაქარაშვილი ამბობს, ბაგრატიონი და ცხებული მეფე ვარო...

ეს თვითმარქვია, ქრისტეს სახელით მოვაჭრე ბერი ნიკოლოზ მაქარაშვილი, აწ „წმიდა ნარიმანი", რომელიც თავს ხან ქრისტედ, ხან მსოფლიო პატრიარქად, ხან კი საქართველოს მეფე-ბაგრატიონად ასაღებს, ბოლო დროს თავს სტალინადაც კი წარმოაჩენს, იმ დონეზე მკრეხელობს, რომ უარყოფს საეკლესიო რიტუალებს: წირვა-ლოცვებს, აღსარება-ზიარებას, ჯვრისწერას, ნათლობას, მიცვალებულთა წესის აგებას და სხვ. ერთი სიტყვით, უარყოფს ქრისტეს და მისი მოციქულების ქადაგებებს. წარმოიდგინეთ, ქალივით ფრჩხილებზე ფერად ლაკსაც კი ისვამს. გაოცებული ვარ.

ძმანო და დანო, მე როგორც ქრისტეს სჯულის მკაცრად და ჭეშმარიტად დამცველი მღვდელი, ვალდებულად ვთვლი თავს, გავაფრთხილო ქართველი ერი, რათა არ შეცდნენ. დაველოდოთ ქრისტეს მეორედ მობრძანებას, რომელსაც ექნება მიმანიშნებელი მოვლენები: „ვითარცა ელვა რა გამობრწყინდეს მზისა აღმოსავალით, და ჰსჩანან ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსვლა ძისა კაცისა... მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი და ვარსკვლავნი დამოჰსცვივნეს ზეცით და ძალნი ცათანი შეიძრნენ და მაშინ გამოჰსჩნდეს სასწაული ძისა კაცისა ცათა შინა"...

უფალი რა ამაღლდა ზეცად,



დაგვიტოვა თავისი ჭეშმარიტი მცნებები და ანდერძი: „ცანი და ქუეყანა წარჰხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარხდენ" (მთ. 24–35).

ყოველივე ამის შემდეგ, მიწიერ ცოდვილს, რა უფლება აქვს თავი ქრისტედ ან მეფედ წარმოაჩინოს და ამით საზოგადოება დააბრკოლოს და წარწყმედის გზაზე დააყენოს?!

საქმე ისე მიდის, რომ ვატყობ, დიდ წინააღმდეგობებსაც წავაწყდები, მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის ყველაფერს ავიტან. ქართველნო, მართლმადიდებელნო, მოგიწოდებთ, ერწმუნეთ მხოლოდ ქრისტეს დარიგებებს და ნუ შეგაცდენენ ცრუ, ანტიქრისტეს მიმდევარნი.

ამჟამადაც, კვლავ გვიწევს ანტიქრისტეს დაჯგუფებებისა და მათი მიმდევრების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთა რუპორია ორი ტელევიზია. ეს დაჯგუფებები, ინტერნეტის საშუალებით, მსოფლიოს აწვდიან ცრუ ინფორმაციებს თვითმარქვია „მკურნალის" შესახებ. სანაცვლოდ, უცხოეთიდან მოედინება დიდძალი თანხები, რომლებსაც აქედან გადახვეწილი ემიგრანტი ქართველები უგზავნიან თავისი ოჯახების „დასალოცად".

დიდი რუსი წმიდა მამა სერაფიმე საროველი ბრძანებს — ანტიქრისტე საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამსო. ეტყობა, ის წინასწარ უწყოდა, რა უნდა მომხდარიყო დღეს საქართველოში.

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, რაიმე მიზანს ხომ არ ემსახურება ნიკოლოზ მაქარაშვილის გამოჩენა?**

— არ არის გამორიცხული და რეალობას მოკლებული მოსაზრება, რომ მსოფლიო მასონიზმის მთავარი დამაბრკოლებელი, მათი შავბნელი საქმეების სამზეოზე გამომტანი მართლმადიდებლობა არს. მას ვერ ერევიან, რამეთუ ქვეყნიერებაზე ყოველივეს უზენაესი განაგებს. იქედან გამომდინარე, რომ ნარიმანის სექტას საზღვარგარეთიდან აფინანსებენ, ადვილი მისახვედრია, რომ ყოველივე მაღალი ეშელონებიდან იმართება, რამეთუ რაც შეიძლება მეტი ხალხი მოსწყვიტონ ეკლესიას, რწმენას და ამით ძირი გამოუთხარონ ქრისტიანობას. როგორც ვხედავთ, უნებისყოფო ხალხს ადვილად იბირებენ. ყოველივე ეს ეკლესიის დანგრევისკენ არის მიმართული.

**— ხომ არ იცით, როგორია საპატრიარქოს პოზიცია ამასთან დაკავშირებით?**

— ამ სავალალო პროცესზეც დუმს საპატრიარქო. რა თქმა უნდა, ეს მათი პრეროგატივაა. მათ უნდა აღკვეთონ ყოველივე უმსგავსობა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ მათ თავისთვის ვერ მოუვლიათ. ეს მათი სტილია. თავიდანვე ასეა, როცა სარწმუნოებისა და ერის ბედი წყდებოდა, საპატრიარქო მუდამ დუმდა, სწორედ ამან გამოიწვია ანტიდისკრიმინაციული კანონი, იეღოველების გამრავლება, იუვენალური კანონები და მრავალი ძირგამომთხრელი ქმედება, რომელსაც მართავს საქართველოში სოროსის დასაყრდენი ორგანიზაცია გიგა ბოკერიას მეთაურობით.

მკაცრად ვაფრთხილებ ნარიმანის მიმდევრებს: ნუ დაგამშვიდებთ მოჩვენებითი ხორციელი განკურნება, მთავარია სულის გადარჩენა!!

ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ გარდაცვალება გარდაუვალია და მაშინ, როცა ღმრთის საშინელ სამსჯავროზე წარვსდგებით, მფარველი ანგელოზნი, ნაცვლად დაცვისა, მსაჯულის სახით წარმოგვიდგებიან, უფალი კი გვეტყვის: შენ ხომ ანტიქრისტე ნარიმანი გწამდა, არ იღებდი ჩემ სისხლსა და ხორცს, არც ცოდვებს ინანიებდი, მაშინ იმათაც ეტყვის, ვინც მარცხნივაა: „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის!"

მე კი ჩემ საუბარს დავასრულებ კვლავ ილიას სიტყვებით, რომელიც ყურადსაღებია ყველასათვის:

„საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზეც ვერავინ შეაცვლევინა".

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**

# „გულთა-სრული კაცი“

ილია ჭავჭავაძე მას „ჩვენს ხუროთმოძღვარს“ და „გულთა-სრულ კაცს“ უწოდებდა, ხოლო აკაკი წერეთელი „ჩვენ მოძღვარს“.

სტავროპოლიდან რომ ჩამოასვენეს, პროცესიას გზადაგზა უამრავი ადამიანი ემატებოდა და მერე მამადავითისკენ მიმავალ გზაზე მგლოვიარეთა რაოდენობას გრანდიოზული სახე მიუღია, რაც მაშინდელი დამპყრობლის წინააღმდეგ მიმართულ გაბედულ დემონსტრაციას ჰგავდაო.

საქართველო კრძალავდა დიდ საზოგადო მოღვაწეს და უბადლო ქართველს — დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც აკაკიმ დაკრძალვის დღეს მეორე დიმიტრი თავდადებულიც კი უწოდა.

1887 წლის 24 ოქტომბერი იყო.

დიმიტრი ყიფიანის ჩამოსვენებისა და დაკრძალვის ორგანიზებისთვის სპეციალური კომისია შეიკრიბა. ჭირისუფალი მთელი საქართველო იყო, მაგრამ, თუ



აკაკი წერეთელი დიმიტრი ყიფიანის ოჯახში

შეიძლება ასე ითქვას, მთავარ ჭირისუფლად და ცერემონიის ორგანიზატორად, თავად დიმიტრი ყიფიანის ნათესავი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და თბილისში დაფასებული კაცი, მცოდნე და განათლებული ნოტარიუსი, ილია ჭავჭავაძის, ივანე პოლტარაცკის, ალექსანდრე ჯაბადარისა და სხვა ცნობილ ადამიანთა მეგობარი — დავით ყიფიანი აირჩიეს.

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულა მგლოვიარეები, სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები და ყველანი ასე ერთად ცხედარს ვერაზე დახვედრიან. პროცესიას გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველი) პროსპექტით ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე უნდა გაევლო, მერე სოლოლაკიდან მთაწმინდისაკენ.

პატივსაცემი ცხედრის წინაშე მთაწმინდაზე სიტყვა წარმოუთქვამს აკაკი წერეთელს. ილიასთვისაც უთქვამთ, ხომ არ ეტყვით გამოსამშვიდობებელსო, რაზეც ილიას უპასუხია: „რა ამბავსაც აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჯობიაო“...

მოგვიანებით წერდნენ: „იმ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე მიწას რომ მივაბარეთ, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისაგან და ბურანისაგან. მაშ, განისვენე მშვიდობიანად, დიდო მოხუცო, შენი სახელი აღბეჭდილია ქართული ეროვნული შემეცნების ისტორიაში“...

* * *

დიმიტრი ყიფიანი 1814 წლის 26 აპრილს დაბადებულა აზნაურ ქოჩო ყიფიანის ოჯახში. სოფელ მერეთში. თავად ქოჩო ყიფიანი ქართლში საბაშიოდან გადმოსულა, იქ შეურთავს ფურცელაძის ქალი ბარბალე და დასიძებულა ფურცელაძეებთან. პატარა დიმიტრის მშობლები ადრე გარდაცვლია. მისი აღზრდა უფროს ძმას ქაიხოსროს უკისრებია. ყმაწვილი იმდენად ნიჭიერი ყოფილა თურმე, რომ გასაოცრად სწრაფად აუთვისებია რუსული, არითმეტიკა, გეოგრაფია და 16 წლის ასაკში უკვე ასწავლიდა მოწაფეებს გიმნაზიაში არითმეტიკას, ქართულსა და რუსულსო.

1832 წელს 18 წლის დიმიტრი ყიფიანი შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს და ვოლოგდაში გადაასახლეს. ყმაწვილმა ისეთი უნარი გამოიჩინა, რომ რამდენიმე წელში ვოლოგდის სამმართველოს მდივანი გახდა, თუმცა სამშობლოს გარეშე გული არ უძგერდა და საქართველოში დაბრუნება მალე გადაწყვიტა.

მეფისნაცვლები თბილისში გვერდიდან არ იშორებდნენ თურმე განათლებულ, ნიჭიერ, მოაზროვნე ახალგაზრდას. ამიტომაც ჯერ ვორონცოვს დაუნიშნავს თავისი კანცელარიის მმართველად, მერე მურავიოვს — კანცელარიის დირექტორად, ბარიატინსკის კი თავის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

ის ფლობდა ინგლისურ და ფრანგულ ენებს, განსაკუთრებით კი, რუსულსო, — წერდნენ მისი თანამედროვეები.

დიდად აფასებდა განათლებას და იბრძოდა ხალხში მის დასანერგადო. „სწავლა ყველას აპატიოსნებს, აფაქიზებს, აღონიერებს და აწონასწორებს, ზე-აღავლენს და ღირსჰყოფს დაუსაბამოსთან მიახლოებასაო“, — ამბობდა.

როგორც ვთქვით, მეფისნაცვლები შემწყნარებლურად იყვნენ განწყობილი გონიერი ახალგარდა ქართველის მიმართ, მაგრამ განსაკუთრებით ვორონცოვს ჰქონია ყიფიანთან კარგი დამოკიდებულება. ის ამბავი, რომ დიმიტრი ყიფიანს იმპერატორის წარმოგზავნილები გვერდიდან არ იშორებდნენ, რაც შესაძლებლობების გზას უხსნიდა დიმიტრი ყიფიანს საქართველოსთვის სასარგებლო საქმეები ეკეთებინა, საქართველოს მტრებს გულზე ლახვრად ესობოდა, რადგან სწორედ ამ პერიოდში მან საფუძველი ჩაუყარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, „ქართულ დრამატულ საზოგადოებას“, იღვწოდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისთვის. მის სახელს უკავშირდება პირველი საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა თბილისში.

ის მომხრე იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის. თუმცა მისი მოქმედებების ამოსავალი ღირებულება იყო მშობლიურ ენაზე მეტყველება, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება ერი დაადგეს პროგრესის გზასო, — ამბობდა თურმე.

1859–67 წლებში დიმიტრი ყიფიანი იყო სამეგრელოს მთავრის ქონება-მამულის მეურვე, შემდეგ თბილისის გუბერნიისა და მერე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. 1876 წელს დაინიშნა თბილისის ქალაქის თავად.

ამავე დროს გახლდათ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი



და აქტიური თანამშრომელი.

როგორც გითხარით, ის რამდენიმე უცხო ენას ფლობდა და კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურას.

იმის მიუხედავად, რომ დიმიტრი ყიფიანი, ჩინოვნიკი და საჯარო მოხელე იყო და რომ იტყვიან, ვერც უნდა მოეცალა სულიერებისთვის, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ლიტერატურული მოღვაწე, ისე მოიხსენიება.

ლიტერატურული მოღვაწეობა დიმიტრი ყიფიანმა თარგმანებით დაიწყო. 1841 წელს, 27 წლის დიმიტრი ყიფიანს, შექსპირის პიესა „რომეო და ჯულიეტა“ უთარგმნია ქართულად.

სხვათა შორის, ეს თარგმანი მერე, 1896 წელს, მის მიერვე სულჩადგმულ ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება. ჟურნალში, რომელშიც თავადაც მუშაობდა, როგორც თანამშრომელი 1857 წლიდან. „ცისკარში“ დაუბეჭდავს დიმიტრი ყიფიანს შექსპირის სხვა ნაწარმოებები, მოლიერის, ბომარშესა და სხვათა თხზულებების თარგმანები.

1882 წელს სანქტ-პეტერბურგში აბეჭდინებს „ახალ ქართულ გრამატიკას“. ეს იმ დროისთვის დიდი ამბავი იყო, რადგან რუსული ცარიზმი სასტიკად კრძალავდა საზოგადოებაში ქართულად ლაპარაკსაც კი. დიმიტრი ყიფიანი წერდა სამეცნიერო-ისტორიულ ნაშრომებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, აგრეთვე, ლექსებს. წერასთან ერთად ხატვაც ემარჯვებოდაო.

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში მე-19ს-ის 80-იან წლებში მას ჩაუყრია საფუძველი „ხვანჭკარის“ წარმოებისთვის. „ალექსანდროულისა“ და „მუჯურეთულის“ უნიკალური ყურძნის ჯიშებისგან არასრული დუღილის მეთოდით მიუღია შესანიშნავი, ნახევრად ტკბილი ღვინო, რომელსაც მაშინ „ყიფიანის ღვინოს“ უწოდებდნენ თურმე. ამ ღვინოს მიუღია სწორედ გრან-პრი ბელგიის ქალაქ ოსტენში, ევროპული ღვინის ფესტივალზე.

დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის საქართველოში საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. ბანკის წესდების ხუთი პროექტი თავად შეადგინაო.

ეს ის საქმეა, რომელიც მერე ილია ჭავჭავაძემ ააღორძინა...

ყიფიანი ყოფილა იმ დროის ყველა მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის წამომწყები და ინიციატორი.

* * *

დიმიტრი ყიფიანსა და ნინო ჭილაშვილს ჯვარი 1845 წლის 22 ივნისს დაუწერიათ. ცოლ-ქმარს ექვსი შვილი შესძენიათ. 3 მცირეწლოვან ასაკში გარდაცვლიათ. დანარჩენი სამი შვილის შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ თბილისში, ქალაქში, რომლის „თავი“ და მეთაური სახელოვანი დიმიტრი



დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები

ყიფიანი გახლდათ 1875 წლებში.

საინტერესოა ქალაქის თავად მისი არჩევის ეპიზოდი.

გაზეთი „დროება“ წერდა: „არასოდეს არ ღირსებია ქალაქის გამგეობის ზალას იმდენი ხალხის ერთად ხილვა... როცა ქალაქის თავის არჩევანი იყო დანიშნული... გუნდ-გუნდად შეკრებილიყვნენ ქალაქის დეპუტატები და გარეშე მაყურებლები და გაცხარებით სჯიდნენ: თუ ვინ და როგორ იქნება არჩეულიო.

სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ დიდის თანაგრძნობით, აღტაცებითა და ტაშის კვრით მიიღო ეს ამორჩევა. ამ აღტაცებაში გამოიხატა მთელი ქალაქის სიამოვნება და იმედი, რომ ახლად ამორჩეული თავი, თავის ენერგიით, ჭკუით, კანონიერს და მტკიცე გზაზე დგომით დაამტკიცებს, რომ იმის ამორჩევაში ჩვენი ქალაქის გამგეობა არ შემცდარა, რომ ის ღირსეულად, პატიოსნად შეასრულებს თავის მძიმე მოვალეობასო“.

თუმცა იმის ფიქრიც ჰქონიათ, თურმე, რომ, ვაითუ, ცარისტული რუსეთის დამქაშებს საქართველოში არ მოსწონებოდათ ასეთი ეროვნული და ჭკვიანი კაცის არჩევა ქალაქის მეთაურად. საყოყმანოდ კიდევ ის ყოფილა, რომ დიმიტრი ყიფიანი „ღარიბი“ ყოფილა. ვალები ჰქონდაო და თუ ქალაქის თავი გახდება, ვექსილებს წარუდგენენო, გულღრძოები კი ქირქილებდნენ: დაბერდა დიმიტრი, როგორიც ჰქონდა, ისეთი გონება და ენერგია აღარ აქვსო.

მაშინდელი პრესა, კერძოდ კი გაზეთი „დროება“, ამაზე თავის აზრს ასე გამოხატავდა: „მართალია, დიმიტრი ყიფიანი მდიდარი კაცი არ არის და არ არის იმიტომ,


დიმიტრი ყიფიანის დასაფლავება

რომ ის სხვებსავით თავის სინდისსა და პატიოსნებას არ ჰყიდდა. იმან არ მოინდომა უკანონოთ, სხვების ჩაგვრითა და ძარცვით გამდიდრებულიყო. ამ ნივთიერ სიმდიდრის ნაცვლად, იმან დაიმსახურა სახელი პატიოსანი და უანგარო კაცისა და ეს ხშირად მილიონებს სჯობია...

ბედნიერი ჰაზრი მოსვლია, ვინც ეს კანდიდატი დაასახელა პირველად. ამაზე უკეთეს ქალაქის თავს ჩვენ ვერ მოვძებნით. დ.ი. ყიფიანს აქვს ყველა ის თვისებანი, რაც ამ საპატიო და მძიმე თანამდებობისთვის საჭიროა. იმის წარსულმა ცხოვრებამ და საზოგადო მოქმედებამ მთელი საქართველო დაარწმუნა, რომ ის არის კაცი პატიოსანი, ენერგიული, საქმის მცოდნე, მოუსყიდველი და უანგარო“...

დამერწმუნებით, ასეთი შეფასება ყველა ღირსეული ადამიანისთვის ნებისმიერ ჯილდოზე მაღალია ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერი ერის შვილისთვის...

თავიდანვე ქალაქის თავობა 9 კანდიდატს უნდოდა თურმე, მაგრამ არჩევნების დღეს შვიდს თავისი კანდიდატურა მოუხსნია და კანდიდატთა შორის დიმიტრი ყიფიანი და იერემია არწრუნი დარჩენილან.

საინტერესო ისაა, რომ იერემია არწრუნის შვილს — გრიგოლს, რომელიც ქალაქის სათათბიროს წევრი ყოფილა, ქალაქის თავის არჩევნებში ხმა დიმიტრი ყიფიანისთვის მიუცია...

დიმიტრი ყიფიანის ქალაქის თავობისას, გაიზარდა ქალაქის მშენებლობის ტემპები, უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქალაქის მეურნეობის არც ერთი სფერო. შემოუღია ახალი და ეფექტური ადმინისტრაციულ-სამეურნეო სისტემა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულა თბილისის მოსახლეობის ხელახალი აღწერა (აღწერის მიხედვით, თბილისში მაშინ 91668 ადამიანი ცხოვრებულა).

ვალერიან გუნია წერდა დიმიტრი ყიფიანზე: „30 წლის განმავლობაში არ მოუსვენია არც ერთი დღე, არც ერთი საათი, მაგარი და მტკიცე სულით იგი მხნედ ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩინოვნიკი, არამედ, როგორც პატიოსანი, კაცი და დაუცხრომელი მოღვაწეო“.

ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის მტრებს, ცხადია, ძალიან აშფოთებდათ თურმე.

მალე მათი სურვილიც ასრულდა.

1882 წელს იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ საქართველოში მეფისნაცვლის მაგიერი თანამდებობით — მთავარმმართებლად დონდუკოვ-კორსაკოვი მოავლინა, ეკლესიის საჭეთმპყრობლად ეგზარქოსი — პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის მეთაურად იანოვსკი, სემინარიის რექტორად კი ჩუდეცკი.

საქართველოს ისტორიის მცოდნეებს ეს გვარები უსიამოვნოდ გაახსენდებათ და ასეც იყო — იწყებოდა ახალ უბედურებათა კასკადი დაპყრობილ-დაბეჩავებული ჩვენი ქვეყნისთვის.

ახლოვდებოდა საბედისწერო 1886 წელი.

დიმიტრი ყიფიანი მაშინ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო და ცხოვრობდა ქვიშხეთში, სახლში, რომელიც მერე მის სახლ-მუზეუმად გადაკეთდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის გამო საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ „ტერორისტი“ იოსებ ლაღიაშვილი და ქართველი ერი ასე დაწყევლა: „დაიწყევლოს სამუდამოდ შენი მკლავიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგი, რომელმაც დაბადა ის. ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა მკვლელი“.

დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს წერილი გაუგზავნა და საქართველოს დატოვება მოსთხოვა.

„ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკი“ ყიფიანი დათხოვნილ იქნეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან და საცხოვრებელ ადგილად მას დაენიშნოს ქ. კავკასიის სტავროპოლი“. — ბრძანებდა იმპერატორი ალექსანდრე მესამე.

„უკეთესს ჯილდოს ვერც კი მოვიფიქრებდი! ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდ კაცობისთვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილა. დეე პირველი მერცხალი მე ვიყო“, — ასე შეხვდა თავის განაჩენს 72 წლის დიმიტრი ყიფიანი.

1887 წლის 29 ოქტომბერს თბილისში ამბავი ჩამოვიდა — 24 ოქტომბერს დიმიტრი სტავროპოლში მოუკლავთო.

„იგი მოჰკლეს მძინარე. თავში ჩაურტყიათ რაღაცა მძიმე და მრგვალი საგანი, რადგანაც თავისა და პირისახის ნახევარ მხარეზე ძვლები სულ დამსხვრეული აქვს“. — იუწყებოდა გაზეთი „ივერია“.

ჟანდარმერია კი აცხადებდა: ძარცვის მიზნით მისულებს შემოაკვდათ დიმიტრი ყიფიანიო, რაც, ცხადია, სიმართლეს არ შეეფერებოდა. დიმიტრი ყიფიანს არაფერი ჰქონდა, რომ ვინმეს გაეძარცვა. მისი ღარიბული ნივთებიც ხელუხლებელი იპოვეს. მკვლელები ჟანდარმერიის დაქირავებული არამზადები აღმოჩნდნენ: გრიგოლ სტეპტოვი და თევდორე შულგინი.

„გული როგორღაც კარგს არას მეუბნება და მეშინიან ისე არ მოვკვდე, რომ სამშობლო მიწა ვერ ვნახოვო. ყველაზე ძლიერ უფრო ის აღონებდა, რომ ვაითუ მოვკვდე და ჩემი ძვლები აქ დასტოვონ და არ დამმარხონ ჩემს საყვარელს მიწა-წყალშიო“, — იწერებოდა თურმე სტავროპოლიდან დიმიტრი ყიფიანის ერთი ნაცნობი, მისი გარდაცვალებიდან


დიმიტრი ყიფიანის ოჯახი

ცოტა ხნით ადრე.

„ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე დაანთხიეს. იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის სძერგდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“, — გულდათუთქული ამბობდა აკაკი წერეთელი, ჩვენი დიდი მგოსანი, რომელმაც დიმიტრი ყიფინის გარდაცვალებაზე, მის პატივსაცემად, ლექსი „განთიადი“ დაწერა.

მან საქართველოსთვის გაიღო უამრავი მსხვერპლი — კარიერა, მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახური სიმშვიდე, ნიჭი, გონება და ბოლოს სიცოცხლეც.

როგორც მისი თანამედროვეები ამბობენ, დიმიტრი ყოფილა მეტად მშვიდი და პატიოსანი გულის კაცი და ამ ადამიანს, 72 წლის მამულიშვილს, იმის მაგივრად, რომ მშვიდ სიბერეზე ეფიქრა, საქართველოს და ქართველი ხალხის წყევლა და ჩაგვრა ვერ აუტანია და თუმცა მშვენივრად სცოდნია, ის საბედისწერო წერილი, რომელიც იმპერატორს მისწერა, მისი საბოლოო განაჩენი იქნებოდა, მაინც მიუწერია და მაინც არ დაუხევია უკან მოსალოდნელი საფრთხისგან.

სწორედ ალექსანდრე მესამის ბრძანებით აჰყარეს მოქალაქეობრივი უფლებები დიმიტრი ყიფიანს და გადაასახლეს.

სტავროპოლიდან ის ოჯახს წერდა თურმე: „იმის იმედი მაინც მაქვს, რომ შეწყალებაზე არსად, არასოდეს, არავითარი ლაპარაკი არ იქნება, რამდენადაც შეწყალებას გარდა ღვთისადმი ლოცვავედრებისა — მხოლოდ დამნაშავეები ითხოვენო“.

სარწმუნოება — მართლმადიდებლობა მისი ცხოვრების მანათობელი ლამპარი ყოფილა.

ის შეეწირა საქართველოს და ქართული ეკლესიის ინტერესებს.

ის მოკლეს ქრისტიანობის და საქართველოს მტრებმა და გარდაიცვალა, როგორც ჭეშმარიტი მოწამე.

მამადავითზე დაკრძალეს დიმიტრი ყიფიანი.

10 წლის შემდეგ მის საფლავზე ძეგლი დადგეს.

„ივერია“ წერდა: „... გარდაიცვალა და არ გარდაიცვლებიან მხოლოდ მისი სამსახური, მისი ღვაწლნი, მისი საქმენი... ამისთანა იშვიათს კაცებზეა ნათქვამი: მოკვდა და თავისის ანდერძით, აწ ისევ საქმობს მკვდარიო“...

დიახ, „აწ ისევ საქმობს“ დიმიტრი ყიფიანის მიერ სულჩადგმული, თუმცა ულმობელი დროის მიერ მისუსტებული ქართველთა საჯარო ბიბლიოთეკა, ქართული მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელსაც სათავე დაუდო, სხვა მოღვაწეებთან ერთად, დიმიტრი ყიფიანმაც, „საქმობს“ მისი სახელი — დიდი მამულიშვილი დიმიტრი ქოჩოს ძე ყიფიანი...

**ირანდა კალანდაძე**
555 48 48 61



# დონალდი, ჯო და „სამი სასოწარკვეთილი დიასახლისი“ ბელარუსიდან

— დღეს, დარბევა-არეულობების გამოისობით გაცილებით ბევრი ადამიანი იღუპება ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიდრე ერაყში, ავღანეთში ან სირიაში, — შეშფოთებით აცხადებენ ამერიკელი მიმომხილველები. რასიზმთან ბრძოლამ, რომელიც მაისის ბოლოს დაიწყო, მახინჯი პოლიტიკური ელფერი შეიძინა. ამ სამწუხარო ფაქტს ადასტურებენ პოლიტოლოგებიც. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ცალკეულ შტატებში კონსერვატული შეხედულების მქონე მოქალაქეები აყალიბებენ და ერთიანდებიან სახალხო მილიციის რიგებში. აქტივისტმა მოქალაქეებმა („მილიციონერებმა“) თავიანთ ქალაქებში ე.: წ. რასიზმთან მებრძოლებს გარკვეული საზღვრებიც დაუწესეს და გააფრთხილეს — თუ დაარღვევენ ცეცხლსასროლ იარაღსაც გამოიყენებენ. შეარბილებს არსებულ ვითარებას მოხალისეთა გააქტიურება თუ პირიქით გაამწვავებს, ამერიკელ ექსპერტებს უჭირთ პროგნოზირება.

რასიზმთან ბძროლა, იგივე მოძრაობას „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ რომ იყენებენ მისი მოწინააღმდეგეები, კონკრეტულად დემოკრატიული პარტია, საიდუმლო აღარ არის. გამუდმებით გამოდიან რასობრივი თანასწორობის ლოზუნგებით, რათა გადაიბირონ ფერადკანიანი ამომრჩევლები. თუმცა, რამდენად შეძლებენ თეთრკანიანთა მიმართ აგრესიულად განწყობილ შავკანიანების დაშოშმინებას, ძნელი სათქმელია. გასულ კვირას აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში ერთბაშად ორი აქცია მიმდინარეობდა — დონალდ ტრამპის მომხრეების და რასიზმთან მებრძოლების. „თეთრებს სიკვდილი!“ — სკანდირებდნენ შავკანიანები და ემუქრებოდნენ თეთრებს. სიტუაციის განუმხტვა პოლიციამ შეძლო შუაში ჩადგა და არ დაუშვა რეალურად მოსალოდნელი ფიზიკური დაპირისპირება.

შავკანიანი მოსახლეობის რადიკალურ განწყობაზე სამი დღის წინ ლოს-ანჯელესში მომხდარი ფაქტიც მეტყველებს. პოლიციის საპატრული მანქანას, რომელიც ქუჩაში იდგა, უკნიდან მიეპარა შავკანიანი მამაკაცი და იქ მჯდომ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა. თავდაპირველად პოლიციელები (ქალი და კაცი) დაღუპულები ეგონათ, მაგრამ ექიმებმა მოახერხეს მათი გადარჩენა, ორივე მათგანმა შარშან დაამთავრა აკადემია და დაიწყო მუშაობა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მედიკოსების შეფასებით უკიდურესად მძიმეა, მომხდარი ფაქტის შეტყობისთანავე დონალდ ტრამპმა დამნაშავის სიკვდილით დასჯა მოითხოვა, თუ პოლიციელები დაიღუპებოდნენ. ამომრჩევლებთან შეხვედრისას კი განრისხებულმა განაცხადა: „..მემარცხენე ცხოველებმა პოლიციას აშკარად გამოუცხადეს ომი“. სამწუხაროდ, დამნაშავემ მიმალვა შეძლო. ხელისუფლებამ კი ჯილდო 100 ათასი დოლარი დააწესა მათთვის, ვინც შეატყობინებს დამნაშავის ადგილსამყოფელს. თავდასხმის მოტივი და მიზეზი სრულიად გაურკვეველია. საგულისხმოა, რომ პოლიციელებზე მსგავსი თავხედური თავდასხმები აშშ-ი იშვიათია.

მწვავე პოლიტიკური შეტევები დონალდ ტრამპის „ჩასაძირად“ გრძელდება, რაც აშშ-ი ჩვეულებრივ, ლამის ყოველდღიურ მოვლენად არის ქცეული. ჟურნალისტმა ბობ ვურდბოდმა გამოსცა წიგნი სათაურით „მრისხანება“. ვურდობოდი თითქმის 50 წელია მოღვაწეობს პუბლიცისტიკაში. პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა მისი სტატიების შემდეგ დატოვა თანამდებობა 1975 წელს. იმ დროიდან მოყოლებული აქვეყნებს მემუარებს ყველა მოქმედ პრეზიდენტებზე. ამჯერად ჟურნალისტი დონალდ ტრამპს ადანაშაულებს ჯერ კიდევ თებერვალში იცოდა „კოვიდ 19“-ის ვერაგობა, მაგრამ დაუმალა მოსახლეობასო. ტრამპმა უპასუხა, რომ თებერვლის დასაწყისში ვირუსზე მწირი ინფორმაცია ჰქონდათ, ამიტომ დაელოდა სპეციალისტების დასკვნებს, რათა ქვეყანაში საყოველთაო პანიკა არ გამოეწვია. ვურდბოდის ინფორმაცია ჯო ბაიდენმა სათავისოდ გამოიყენა და ტრამპი უმალ გააკრიტიკა. აქვე სათქმელია, რომ ეს ტრამპის წინააღმდეგ გამოცემული პირველი წიგნი არ არის.

მასობრივი შეტევების მიუხედავად, თავის ხასიათიდან გამომდინარე დონალდ ტრამპი დანებებას არ აპირებს. პირიქით, შეტევაზე გადავიდა, თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა: „... ჯო ბაიდენი აპირებს საერთოდ დაანგრიოს აშშ-ის ენერგოსისტემა“. მისივე თქმით, ბაიდენის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჩინეთი მოიპოვებს უპირატესობას ეკონომიკაში.



უცნაური ბრალდება წაუყენეს დონალდ ტრამპს დემოკრატებმა — თითქოს უდიერად იხსენიებდა სხვადასხვა ომებში დაღუპულ და ამერიკელ ვეტერან ჯარისკაცებს. აბსურდული ბრალდება თვით ჯო ბოლტონმა, ტრამპის ყოფილმა თანაშემწემ და ახლა მრისხანე მოწინააღმდეგემაც კი უარყო. ამის შესახებ ტრამპმა განაცხადა: „... რას ვიზამთ, პენტაგონის გენერლებს არ ვუყვარვარ, სამაგიეროდ ჯარისკაცები კი პატივისცემით არიან ჩემდამი განწყობილები. პენტაგონის მესვეურებს ომების მეტი არაფერი უნდათ“.

ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია — დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბმა 1,8 მილიარდი დოლარი დახარჯა, ამიტომ ფული შემოაკლდათო. ამის შესახებ პრეზიდენტმა ირონიულად უპასუხა: „... ჩვენ ორჯერ, სამჯერ მეტი თანხა გვაქვს ვიდრე წინა საარჩევნო კამპანიისას გვქონდა. თუ საჭირო გახდება ჩემს საკუთარ ფულსაც დავხარჯავ“. ამასობაში ტრამპმა კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა თავის მოწინააღმდეგეებს. ნორვეგიის სამეფომ აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად დაასახელა მშვიდობის დარგში. ტრამპის შუამავლობით ბოლო ერთ თვეში ისრაელმა შეძლო დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არაბეთის გაერთიანებულ ემირატებთან და ბაჰრეინთან, რასაც რეგიონში მშვიდობის დამყარების წინაპირობად აფასებენ პოლიტოლოგები. ინფორმაცია იმდენად მოულოდნელი გამოდგა, დემოკრატები შოკში ჩააგდო, დაადუმა პრესაც, ამიტომ გაუნაწყენდა დონალდ ტრამპი ადგილობრივ გამოცემებს, რომ მისი ნობელის პრემიაზე წარდგენა სათანადოდ ვერ გააშუქეს. „...ობამაზე ბევრს საუბრობდით, მაგრამ რისთვის მისცეს მას ნობელის პრემია, გაუგებარია“ — განაცხადა გაბრაზებულმა ტრამპმა.

11 სექტემბერი აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული თარიღია. როდესაც 19 წლის წინ ტერორისტებმა განახორციელეს შეტევა ნიუ-იორკში ცათამბჯენებზე, რომლებსაც „ტყუპებს“ ეძახდნენ. ტერაქტს რამდენიმე ათასი ადამიანი შეეწირა. ამიტომ დემოკრატები და რესპუბლიკელები ერთდღიან ზავზე შეთანხმდნენ — არ გაეკრიტიკებინათ ამ მნიშვნელოვან დღეს ერთმანეთი. უცნაურად დაემთხვა დონალდ ტრამპი და ჯო ბაიდენი ერთსა და იმავე დღეს ჩავიდნენ პელსინვანიის შტატში, სადაც ოთხიდან ერთ-ერთი თვითმფრინავი ჩამოვარდა. მართალია, პრეზიდენტობის კანდიდატები ერთმანეთს პირისპირ ვერ და არ შეხვდნენ, მაგრამ ყოფილი და მოქმედი ვიცე-პრეზიდენტები მაიკ პენსი და ჯო ბაიდენი ერთმანეთს პირადად მიესალმნენ იდაყვებით. ბაიდენი მეხანძრეებსაც შეხვდა და გამარჯვების შემდეგ თეთრ სახლში მიიწვია, ლუდითაც გაგიმასპინძლდებით, ჩემი ხარჯებითო, შეპირდა.





რაც უფრო ცოტა დრო რჩება აშშ-ი საპრეზიდენტო არჩევნებამდე, სულ უფრო მძაფრდება პოლიტიკური დაპირისპირება ორ კანდიდატს შორის. ნევადაში, ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ტრამპმა განაცხადა, რომ ბაიდენი პოლიტიკაში ყოფნის 47 წლის მანძილზე ყიდდა აშშ-ის ინტერესებს. „...სად არის ახლა მძინარე ჯო, ალბათ ისევ თავის ბუნკერშია“, განაცხადა ტრამპმა. თავის მხრივ ჯო ბაიდენი ტრამპს გლობალურ დათბობაში (?!) და დასავლეთ შტატებში ტყის ხანძრების გამო აკრიტიკებს. ტრამპმა ბაიდენის კრიტიკა ასაკს დააბრალა. საინტერესო რჩევა მისცა დონალდ ტრამპმა თავის ამომრჩევლებს — ჯერ ფოსტით მისცენ ხმა არჩევნებში, შემდეგ პირადად მივიდნენ საარჩევნო უბნებზე. მართლაც რთული საპრეზიდენტო არჩევნებია, მოსალოდნელია. თუმცა დონალდ ტრამპი უკვე იმუქრება — არჩევნებში მისი გამარჯვების შემდეგ არანაირ დარბევა-არეულობებს არ დაუშვებს, გამოიყენებს ჯარს და პროტესტს რამდენიმე წუთში აღკვეთს.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო გასულ კვირას პირველად შეხვდა რუსეთის მედიის წარმომადგენლებს. „...ჩვენ, ბელორუსმა ხალხმა უნდა დავიცვათ, რაც საკუთარი ხელით შევქმენით“, განაცხადა. მისივე თქმით, ქვეყანაში არანაირი დესტაბილიზაცია არ არის, გამოსვლებიც არ იქნებოდა, რომ არა გარე ფაქტორებიო. ლუკაშენკოს განმარტებით, მსხვილი საწარმოთა უმეტესობა სახელმწიფო საკუთრებაა და კარგადაც მუშაობენ. ამიტომ დაუშვებლად მიაჩნია მათი პრივატიზაცია, მით უფრო უცხოელი ინვესტორების შესვლა საწარმოებში. როგორც გაირკვა, ლუკაშენკო მზად არის განიხილოს და შეიმუშაოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი„... მხოლოდ არა იმ ხალხთან ერთად, რომლებიც არეულობებს აწყობენ ქვეყანაში“ — განაცხადა მან. პრეზიდენტის სასახლის ეზოში მისი იარაღით გასვლა იმით ახსნა, რომ ხალხს დაენახა იგი ადგილზე იყო და არსად წასვლას არ აპირებდა. ლუკაშენკოს თქმით: „... ადრე თუ გვიან ხელისუფლებაში სხვები მოვლენ, მაგრამ არა ძალადობით, არამედ კანონიერი არჩევნების გზით და მათ გადავაბარებ ქვეყნის მართვას“.

პირველ ოფიციალური ვიზიტი ალექსანდრე ლუკაშენკომ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთში განახორციელა. გასულ კვირას სოჭში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. მოლაპარაკების შედეგებზე ბევრია დამოკიდებული ორი ქვეყნის მომავალზე. კონკრეტული პოლიტიკური საკითხები ჯერ უცნობია. ამჯერად დავკმაყოფილდეთ პროტოკოლური ინფორმაციით — განიხილეს ეკონომიკური საკითხებიო. ბელორუსში კი მშვიდობიანი გამოსვლები მეთაურების გარეშე გრძელდება. სამი „სასოწარკვეთილი დიასახლისთაგან“, — (სვეტლანა ტიხონოვსკაია, მარია კალესნიკოვა, ვერონიკა ცეპკალა) რომლებიც ოპოზიციის ლიდერებად მიიჩნევენ თავს აქციაზე არ არიან. ორი მათგანი ტიხონოვსკაია და ცეპკალა უცხოეთში არიან, კალესნიკოვა კი დაკავებულია ქვეყანაში არეულობის მოწყობის ბრალდებით. ბელორუსში, როგორც ჩანს მატრიარქატია. დაველოდოთ რას მოიმოქმედებს ლუკაშენკო და რით უპასუხებენ მისი მომხრე დიასახლისები.

**გია ბურდული**
551 61 27 07

„მეოცე საუკუნე იყო ეშმაკის საუკუნე. მის მიერ დატოვებულ სამყაროში ცხოვრება შეუძლებელია. ამ სამყაროში ვერ სუნთქავენ დანგრეულ ქალაქებში მცხოვრები ღარიბები, რომლებსაც გუდავს სილატაკე, ცდუნებებში დამარხულ და ფუფუნებით გაგუდულ მდიდრებს კი მეოცე საუკუნემ დაუტოვა მეტისმეტად გადატვირთული სამყარო...“ ეს სიტყვები ფრანგ მწერალს, ესეისტს, ეკონომიკის და სოციალურ თეორეტიკოს, პოლიტიკურ მრჩეველს და უფროს სახელმწიფო მოხელეს, ცნობილ პროფესორ ჟაკ ატალის ეკუთვნის მისი დაკვირვებები და პროგნოზები უდავოდ იმსახურებს ჩვენს ყურადღებას, დაკვირვებას და ანალიზს. გილიოტინის და ტერორის მოყვარული მარატის და რობესპიერის მერე იყო ნაპოლეონის ომები, მსოფლიო და ლოკალური ომები,



# შეშლილი ოცდამეერთე



გენოციდები, ეთნოციდები, პოპულიციდები, ასი წლის წინ გაიმარჯვა გერმანიის კაიზერი ვილჰელმ მეორის მიერ დაფინანსებულმა მანიაკმა, მასობრივი ტერორის, გაუსამართლებლად ხოცვა-ჟლეტის, საკონცენტრაციო ბანაკების ვნებიანად მოყვარულმა ლენინმა. ამ ლენინის მემკვიდრე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს გენერალური მდივანი მიხაილ გორბაჩოვის დროსაც მკვიდრი მოსახლეობები განდევნეს თავისი სახლებიდან. პროფესორი ატალი გასული საუკუნის მიწურულს წერდა, „მეოცე საუკუნე ისევ გააგრძელებს კუდის ქნევას 21-ე საუკუნეშიც. 21-საუკუნე სულაც არ იქნება მშვიდობიანი. იქნება კონფლიქტების ახალი ფორმები. ჯარებს დაეკისრებათ პროპაგანდის, ჰუმანიტარული განგაშის, მედიაცია-შუამავლობის, განიარაღების და გაუვრცელებლობის შეთანხმებებზე მეთვალყურეობის, დაშინება დაჯერების, სიმულაციის, ჯაშუშობის, პირატაჟის, ელვისებრი ომის მისიები. თავ-თავისი საკუთარი შეიარაღებული ძალები ეყოლებათ არასახელმწიფოებრივ ერთეულებსაცსაწარმოებს, არასამთავრობო თუ კრიმინალურ ორგანიზაციებს. ეს კერძო ჯარები იქნება მათი თავდაცვის ან მოქმედების იარაღი.“ დიდმა დემოკრატმა ვაცლავ ჰაველმა და მისმა კოლეგებმა რეფერენდუმის გარეშე ანუ მათი ამომრჩეველი ჩეხების და სლოვაკების დაუკითხავად ლამის ჩვენს თვალწინ კაცმა არ იცის რატომ გააქრეს ლამაზი ევროპული ქვეყანა ჩეხოსლოვაკია. 21-ე საუკუნეში დაბომბეს და ნანგრევებად აქციეს იუგოსლავია, ერაყი, ლიბია, სირია... პროფესორი ჟაკ ატალი გვეუბნება რომ 21-ე საუკუნეში შეიძლება გაჯიჯგნონ ყაზახეთიც. ყაზახეთი მდიდარია გაზით და ნავთობით. ამიტომ მას ბევრი შესცქერის შური თ. ჩრდილოეთიდან მას საფრთხე ემუქრება რუსეთის მხრიდან. აღმოსავლეთიდან მას საფრთხე ემუქრება ჩინეთის მხრიდან. სამხრეთიდან მას ემუქრება ისლამისტური ფუნდამენტალიზმი. ყაზახეთი შეიძლება გაჯიჯგნონ სამად. ამ შემთხვევაში ყაზახეთის ერთ ნაწილს დაიპყრობს რუსეთი, მეორეს-ჩინეთი. მესამე ნაწილი კი შეინარჩუნებს თავის „დამოუკიდებლობას“. მაგრამ ინდოეთი შეიძლება დაიშალოს არასოლიდარულ ურჩ სამთავროებად თუ კი ის ვერ იპოვის სახსრებს, შიდა თუ გარე ინვესტიციებს, უამრავი მშიერის დასაპურებლად, უამრავი უწიგნურის სასწავლებლად.

იგივე ბედი შეიძლება ელოდეს ჩინეთსაც. ისიც შეიძლება ჩაეფლოს პროვინციებს შორის ატეხილ ომებში და დაიშალოს სამ-ოთხ სახელმწიფოდ დიდი ცვლილებები და პრობლემები იქნება პირველი რიგის ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც. ინდივიდუალიზმი ესაა დასავლური ცივილიზაციის, ბაზრის და დემოკრატიის საფუძველი. პროფესორი ჟაკ ატალის თქმით სწორედ ეს ინდივიდუალიზმი წაართმევს ხელისუფლებას მოქალაქეებს და გადასცემს ამ ხელისუფლებას მომხმარებლებს რომლებიც მოითხოვენ თავისი ეგოისტური წამიერი წადილების და მისწრაფებების იმწუთში დაკმაყოფილების უფლებას.

ის რომ ანტიტოტალიტარიზმად წარმოდგენილი ინდივიდუალიზმი სინამდვილეში მთავრდება ახალი ტირანიით მარტო გარეგნულადაა პარადოქსი ვინაიდან ორი ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ქალს კანონით მისცეს თავისი შვილის მოკვლის უფლება და თქვეს რომ ეს ბოლოს უღებს სახელმწიფოს შეუწყნარებელ ჩარევას ინდივიდთა ცხოვრებაში. დღევანდელობა ქმნის თავის საკუთარ ბედზე პასუხისმგებელი და სხვათა ბედზე უპასუხისმგებლო, სხვების მიმართ გულგრილი მეფე-ინდივიდის კულტს პროფესორი ჟაკ ატალის აზრით თავისუფლება გახლავთ ჯერ დანაყრების, სხვათა გავლენისგან განთავისუფლების, საკუთარი გზების და ეტაპების არჩევის, შემდეგ საკუთარი ნებით გაჩერების, სამყაროსგან მოწყვეტის, ქარავანის მიტოვების, მარტოობის უფლება. ლიბერალიზმი სოციალური სისტემა რომლის პირობებშიც ქენი რაც გინდა თუ კი რამეს არ დაუშავებ სხვას. ესაა დემოკრატიის და ბაზრის საერთო საფუძველი, დასავლური ცივილიზაციის ბაზისი. მაგრამ სულ უფრო და უფრო გაჭირდება გარკვევა იმისა თუ რა არის ბოროტება, ვინაა სხვა და ვინ უნდა გადაწყვიტოს თუ რაა ბოროტება, რაა სიკეთე და ვინაა სხვა.

21-ე საუკუნის დასაწყისში გაიმარჯვებს შეუმცდარ, უშეცდომო ღმერთად გამოცხადებული ბაზარი. შემდეგ აგნოსტიკოსები გამოაცხადებენ რომ ის არ არსებობს. გაჩნდება გაცვლათა ორგანიზაციის ახალი ფორმები რასაც მოყვება ეკონომიკური რელიგიის ახალი ომები. ბაზარი გავრცელდება მთელ დედამიწაზე. პრივატიზაციები არარაობად აქცევენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ სექტორს. ბაზარი გაანაწილებს საქონელს კორუმპირებული ბიუროკრატიის თვითნებობის გარეშე. შემდეგ ბაზარი გავრცელდება სფეროებზე განათლება, ჯანდაცვა, მართლმსაჯულება, პოლიცია, მოქალაქეობა, მეობა, ჰაერი, წყალი, სისხლი, სპერმა და კვერცხუჯრედები, გადასანერგი ორგანოები, ყველაფერს ექნება თავისი ფასი. ბაზარი იქნება ყველაფრის მოსამართლე მსაჯული. მის გადაწყვეტილებას აჩვენებს საგნების ფასი... ფასი კი იქნება მუდმივად ცვალებადი გარემოებათა ცვლილების შესაბამისად. ფასს დასცემს ძლიერი პანიკაც. ვერ გადარჩება ის ვისაც არაფერი ექნება გასაყიდი. მაგრამ გარეგნული შეუმცდარობის მიუხედავად და მისი ქურუმების დაპირებების საწინააღმდეგოდ ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ვერც მართლმსაჯულებას, ვერც თანასწორობას და ღირსებას, ვერც სწავლა-განათლებას, ვერც სამუშაო ადგილებს, ვერც საკვებს და ვერც ყველას კეთილდღეობას. ეს მოხდება იმიტომ რომ ბაზარს ადამიანები სჭირდება მხოლოდ როგორც მომხმარებლები. 21-ე საუკუნე შეცვლის ადამიანთა ურთიერთობებს. ქორწინება იქნება სულ უფრო და უფრო არამყარი, დროებითი და ხანმოკლე კავშირი. აღარც ერთგულება იქნება აუცილებელი ასე დაქორწინებული ინდივიდებისთვის. ყოველ ადამიანს ექნება ერთდროულად ბევრი პარტნიორის ღიად და გამჭვირვალედ ასე ვთქვათ სიყვარულის უფლება. წესად გადაიქცევა მრავალქმრიანობა პოლიგამია და მრავალცოლიანობა პოლიანდრია. ასეთი იქნება ზნე-ჩვეულებათა ევოლუცია 21-ე საუკუნეში, მის სამართლებრივ დაკანონებას რა თქმა უნდა დასჭირდება მეტი დრო. აქამდე ბავშვი იყო სიყვარულის ნაყოფი. ამიერიდან სხვანაირად იქნება. თანდათანობით ჯერ თერაპიული მიზნებით და შემდეგ როგორც თავისუფლების ახლებურად გაცხადება დაშვებულ-ნებადართული




იქნება ბავშვის გაჩენა მამაკაცის გარეშე, ჯერ არდაბადებული ბავშვის გენეტიკური მდგომარეობის შემოწმება, შთამომავლობის ზოგი ფიზიკური ნიშან-თვისების შერჩევა. პროფესორი ჟაკ ატალის თქმით ქალს შეეძლება შვილის გაჩენა თავისი საკუთარი კლონის ემბრიონისგან და ის ასე გახდება უმამოდ გაჩენილი თავისი ქალიშვილის ტყუპისცალი და ქალმა შეიძლება გააჩინოს ვიღაც კაცის კლონის ემბრიონისგან. დედად შეიძლება გადაიქცეს მამაკაციც. მაგრამ პროფესორი ატალის აზრით კაცობრიობა რომ არ გადაიქცეს სულ მთლად გადარეულ არსებათა ბრბოდ მოვალეობად უნდა დაკანონდეს თუნდაც ორანგუტანგის მიერ გაჩენილი ადამიანის მიმართ სინაზე, ზრუნვა ამ უბედურ ბავშვზე, მისი აღზრდა და სწავლა-განათლება მისთვის მემკვიდრეობის გადაცემა. შვილის ყოლის უფლება უნდა ჰქონდეს იმას, ვინც იზრუნებს ამ შვილზე...



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ასე ტკბილად დამიბერდი...

## როგორ უზრუნველყოფენ სიბერეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში



***მსოფლიოში დღეისთვის ბევრი საპენსიო სქემა არსებობს, რომელთა შორის ზოგიერთი, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.***

**პენსია აშშ-ში**. ამერიკელებს შეუძლიათ ორნაირი პენსია მიიღონ — სახელმწიფო და დამსაქმებლის. სახელმწიფო პენსიონერს თვეში დაახლოებით 1400 დოლარს უხდის. თანხა სხვადასხვა შტატში ოდნავ განსხვავებულია. დამსაქმებელი პენსიაზე გასულ თანამშრომელს ხელფასის 6,2%-ს უხდის, 1,45%-ს კი იხდის მის სამედიცინო დაზღვევაზე.

პოლიციელებსია და სამხედროებისთვის სხვა საპენსიო სისტემა მოქმედებს. საპენსიო ასაკი აშშ-ში 67 წელია, მაგრამ პენსიაზე უფრო ადრეც შეიძლება გასვლა. ასეთ დროს ორივე პენსიის გადახდა პროპორციულად მცირდება.

თუ ამერიკის მოქალაქე საპენსიო ასაკამდე ვერ მიაღწევს, მისი პენსიის ნაწილს მეუღლე მიიღებს. ვინც ვერ გამოიმუშავა პენსია, ანუ 10 წელი არ უმუშავია, გათვალისწინებულია სოციალური დახმარება ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის 40%ის ოდენობით.

პენსიის მეორე სახეობა დაგროვებითია. მას ნებაყოფლობითი დაზღვევის პროგრამის მონაწილეები იღებენ. დაზღვევის ინდივიდუალურ სისტემას დამსაქმებელი ხსნის და პენსიონერთან ერთად შეაქვს საპენსიო შენატანი.

**პენსია ახალ ზელანდიაში**. ამ ქვეყნის მოქალაქეები პენსიაზე 65 წლის ასაკში გადიან. პენსია ახალ ზელანდიაში არ არის დამოკიდებული არც სამუშაო სტაჟზე, არც იმაზე, რამდენს იხდიდა საპენსიო ფონდში. მთავარია, იყოს ქვეყნის მოქალაქე და მის ტერიტორიაზე 10 წლის განმავლობაში მაინც ცხოვრობდეს.

საპენსიო თანხა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის რაოდენობაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე და იმაზე, იღებს თუ არა მეუღლე რაიმე სოციალურ დახმარებას და კომპენსაციას. მარტოხელა პენსიონერებს ყველაზე მაღალი პენსია აქვთ — ისინი იღებენ 1400–1800 ახალზელანდიურ დოლარს.

სახელმწიფო პენსიონერებზე სხვა სახის მზრუნველობასაც



იჩენს, მაგალითად, მათი მგზავრობა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა უფასოა. მოქალაქეებს შეუძლიათ დაგროვებით დაზღვევის სისტემაში მონაწილეობა და შეუძლიათ თავიანთი შემოსავლის 3–10%-ს შეტანა.

დამსაქმებელს დაზღვევის სისტემაში ხელფასის 3% შეაქვს. საპენსიო დანაზოგის გამოყენება შეიძლება საცხოვრებელი ფართის შესაძენად.

**პენსია იაპონიაში**. იაპონია სწრაფად „ბერდება“ — მისი მოქაალაქეების ერთი მესამედი პენსიონერები არიან. საშუალოდ იაპონელების პენსია 1500 დოლარია, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც მხოლოდ 600 დოლარის აღების უფლება აქვს.

დღეისთვის იაპონიაში საპენსიო ასაკი 65 წელია, მაგრამ მოკლე ხანში 70 წლამდე უნდათ მისი აწევა. ამასთან, იაპონელებს არავინ აიძულებს განსაზღვრულ ასაკამდე მუშაობას, მათ შეუძლიათ პენსიაზე უფრო ადრე გასვლაც. ამ შემთხვევაში პენსია თითქმის ერთი მესამედით შემცირდება.

იაპონიის სახელმწიფო საპენსიო ფონდი ქვეყნის ყველა მოქალაქეს უხდის საბაზო პენსიას, მათ შორის ფერმერებსა და კერძო მრეწველებს. პენსიის მისაღებად მხოლოდ ერთი პირობის შესრულებაა საჭირო — ყოველთვიურად 150 დოლარი გადარიცხოს ფონდში. იაპონიაში მინიმალური სტაჟი 25 წელია.

**პენსია შვეიცარიაში**. შვეიცარიას მსოფლიოში ერთ-ერთი ეფექტიანი საპენსიო სისტემა აქვს. ამ ქვეყანაში მინიმალური პენსია 1200 დოლარია, მაგრამ შვეიცარიელების უმეტესობა გაცილებით მეტს იღებს — მათი ყოველთვიური შემოსავალი ხელფასის 60–80%-ია.

პენსიის ასეთ მაღალ დონეს უზრუნველყოფს სამდონიანი სისტემა, რომელიც სამ ძირითად საფუძველზე დგას. ესაა სახელმწიფოს საბაზო პენსია, შრომითი პენსია და კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოქალაქეებს გარანტირებული საარსებო მინიმუმით. მამაკაცებისთვის ეს ასაკი 65 წელია, ქალებისთვის — 64.

შვეიცარიის ყველა მოქალაქე 18 წლიდან იხდის საპენსიო შენატანს სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სისტემაში. პენსია დამოკიდებულია სტაჟზე და შენატანის ოდენობაზე. სახელმწიფო მონაწილეობას იღებს პენსიის დაფინანსებაში.

პროფესიული დაზღვევის სისტემაში შენატანი შეაქვს როგორც მომუშავეს, ასევე მის დამსაქმებელს, ამასთან თანაბარი რაოდენობით. მაგრამ არის შეზღუდვებიც — პროფესიული პენსიის მიღება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისი ყოველწლიური შემოსავალი 21,7 ათას დოლარს აღემატება.

**პენსია ნორვეგიაში**. ეს ქვეყანა არაჩვეულებრივი მაგალითია იმისა, რომ პენსია შეიძლება მაღალი იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელფასიდან არაფერს გადაიხდი. ნორვეგიაში მინიმალური პენსია 1500 დოლარია, საშუალო კი — 2300 დოლარი.

ამის მიღწევა შესაძლებელია ნავთობის ხარჯზე, რითიც ძალიან მდიდარია ეს სკანდინავიური ქვეყანა. ნორვეგიის სუვერენული ფონდი იღებს მოგებას ნავთობისა და აირის გაყიდვიდან, რაც ინვესტიციებისთვის გამოიყენება.

ფონდს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ ჩადოს ეს თანხა უძრავ ქონებაში და შეიძინოს ფასიანი ქაღალდები, ამასთან, არა მხოლოდ ნორვეგიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ფონდის აქტივები 1 ტრილიონ დოლარს აღემატება, რომელსაც ფონდი განკარგავს.



სრული პენსიით უზრუნველყოფის უფლება აქვთ მოიქალაქეებს, რომლებსაც მუშაობის 40 წლის სტაჟი აქვთ. პენსიაზე გასვლა ნორვეგიელებს 67 წლის ასაკში შეუძლიათ, სქესის მიუხედავად. შენატანები სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაში 8–11,5%-ია. მისი რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, ადამიანი დაქირავებულია თუ თვითდასაქმებული.

**პენსია იტალიაში**. იტალიაში სოციალური პენსია 448 ევროს შეადგენს. მათ, ვისაც 25 წლის სტაჟი აქვთ, 542 ევროს აღება შეუძლიათ. მამაკაცები, რომლებმაც 42 წელი და 10 თვე იმუშავეს და ქალებს, რომლებმაც ერთი წლით ნაკლები იმუშავეს, შეუძლიათ მიიღონ შრომითი პენსია, რომლის რაოდენობა საშუალო ხელფასის 71%-ს შეადგენს.

2011 წლის საპენსიო რეფორმის შემდეგ გადავიდნენ დაგროვებით სისტემაზე. მომუშავეებს ყოველთვიურად შეაქვთ თანხა სოციალური უზრუნველყოფის ნაციონალურ ინსტიტუტში ან პროფესიულ სალაროებში. ამ ფონდებიდან თანხები ირიცხება საპენსიო გადახდებზე, საავადმყოფოს ხარჯებზე, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში დახმარებებზე, რომლის გადახდაც 2 წლის განმავლობაში ხდება.

**პენსია პოლონეთში**. პოლონელი მამაკაცები პენსიას იღებენ იმ შემთხვევაში, თუ 20 წელი იმუშავეს, ხოლო ქალები 15 წლის სტაჟის ქონის შემთხვევაში. სოციალური დაზღვევის ფონდში ხელფასიდან 19–2%-ს იხდიან, ამ თანხის ნახევარს დამსაქმებელი იხდის. პენსიის ოდენობა განისაზღვრება დაგროვილი თანხისა და პენსიონერის ასაკის მიხედვით. ამასთან, ყოველწლიურად ხდება ინდექსაცია.

2017 წელს პოლონეთში საპენსიო ასაკი შემცირდა და ახლა 65 წელია მამაკაცებისთვის, ხოლო ქალებისთვის — 60 წელი. სოციალური პენსია 277 დოლარს შეადგენს, წლის ბოლოს კი მე-13 პენსიას იღებენ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## „ყილოშტყებამი“




გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრული თარგმანი „ყილოშტყებამი“

მთარგმნელი
აბელ ფეტელავა

**აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ვეფხისტყაოსნის“ აბელ ფეტელავასეული თარგმანი ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე მაღალმხატვრულია არათუ მეგრულ, არამედ აქამდე არსებულ ნებისმიერ თარგმანთან შედარებით“.**

საგამომცემლო
ჯგუფი.

წიგნის შეძენის მსურველებს, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 599 58-72-50 (ბესო)



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001